საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 121 (666) | ოთხშაბათი, 9 ივნისი, 1993 წელი. | ფასი 10 კუპონი.

რუსულ ეთერში

ბი-ბი-სიმ გადასცა

რადიოსადგურმა ბი-ბი-სიმ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ გადასცა:

„ქართველმა ლიდერმა შევარდნაძემ გააფრთხილა აფხაზები, რომ საქართველონ არმიას შეუძლია მიაყენოს მათ ძლიერი კონტრდარტყმა, თუ აფხაზთა ფორმირებანი განაგრძობენ თავდასხმებს ალყაშემორტყმულ სოხუმზე. აფხაზთა მხარე გაგზავნილ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, როგორც შევარდნაძემ თქვა, საკმარისი საშუალებანი აქვთ, რათა აწარმოონ არა მარტო თავდაცვითი ოპერაციები. კონფლიქტის გამძაფრებისათვის პასუხისმგებლობა შევარდნაძემ დააკისრა ექსტრემისტებს, როგორც აფხაზთა მხრივ, ასევე ქართველთა მხრიდაც. ამ ექსტრემისტებს, დასძინა მან, არ მოსწონთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამასწინანდელი გაუმჯობესება, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს საფრთხეს უქმნის მათ ძალაუფლებას".

თუ ასეთი რეისები გაგრძელდება...

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ქართულ მხარეს დააკისრეს პასუხისმგებლობა 24 მაისს ვერტმფრენის ჩამოგდებასა და ეკიპაჟის დაღუპვაში, აგრეთვე ქ. ტყვარჩელისათვის ჰუმანური მისიის შესრულებისათვის ხელის შეშლაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა პროტესტი და კერძოდ აღნიშნა, რომ ვერტმფრენებს „გადააქვთ არა პროდუქტები, არამედ საბრძოლო მასალა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ამა წლის 14 მაისს მოსკოვის შეხვედრაზე აღნიშნა, და ეს დოკუმენტურადაც იქნა გაფორმებული, რომ რუსეთის ვერტმფრენები აფხაზეთში უკანონო რეისებს არ ასრულებენ და რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უფლება აქვთ ჩამოაგდონ ყველა ის საფრენი აპარატი, რომელიც წინასწარი შეთანხმების გარეშე გამოჩნდება აფხაზეთის საჰაერო სივრცეში. შეთანხმების მიუხედავად, ქართულ მხარეს ჯერ ამით არ უსარგებლია. აღნიშნული ვერტმფრენი ჩამოვარდა არა საქართველოს შეიარაღებული ძალების ცეცხლით, არამედ ავიაკატასტროფის შედეგად. აღსანიშნავია ისიც, რომ მან გადაზიდა დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც ქართულ მხარეს აქვს", ნაშინისტრო „აფრთხილებს უკანონო საჰაერო რეისების ორგანიზატორებს, რომ მსგავსი რეისების გაგრძელების შემთხვევაში მათ ალსაკვეთად გამოყენებული იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების ბევრი არსებული ყველა საბრძოლო საშუალება".

• • •

სოხუმი, 8 ივნისს მზიური ჩაისა და მანუნის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში დღეს მოკრეფილი პირველი ახე ტონა. ჩაის ფოთოლი მიიღო მზიურის ჩაის ფაბრიკამ. [illegible]

ეღუარდ შევარდნაძე ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელს

8 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ეღუარდ შევარდნაძე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო დავალებათა ელჩს სტროუბ ტალბოტს. მისი მეთაურობით ჩამოსულ პრეზიდენტის დელეგაციაში შედიან თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების აპარატის, სახელმწიფო დეპარტამენტის, გენერალური შტაბის, თავდაცვის სამინისტროს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა ბილ კლინტონის პირადი დავალებით, რათა ეღუარდ შევარდნაძეს გააცნოს სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისადმი დახმარების პროგრამა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დახმარებით სტროუბ ტალბოტი კურირებას უწევს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს.

ბატონი ეღუარდ შევარდნაძე გულითადად მიესალმა სტუმრებს, მადლობა მოახსენა იმისათვის, რომ გამონახეს დრო სწვეოდნენ საქართველოს. მან ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს ბარიერები ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მზარდი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობებისათვის, და გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკაში ისეთი წარმომადგენლობითი დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ამ პოზიტიური პროცესის შემდგომ განვითარებას.

ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანია ადგილზე გაეცნოს აქ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს, რეფორმათა მიმდინარეობას, და, რაც მთავარია, შეხვდეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციის მიაჩნია ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტიან ექსპერტად ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმათა საკითხებში.

შემდეგ გაიმართა ეღუარდ შევარდნაძისა და სტროუბ ტალბოტის პირისპირ შეხვედრა.

ამერიკის დელეგაციის წევრები ესაუბრნენ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიკვაიძეს, თავდაცვის მინისტრს გიორგი ყარყარაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს თემურაზ ხაჩიშვილს, ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს დემურ დვალიშვილს, მთელი რიგი სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

მოკლე ინტერვიუში, რომელიც ბატონმა ტალბოტმა საინფორმაციო კორესპონდენტს იური გოლდმანს მისცა ეღუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დამთავრებისთანავე, ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მიაჩნია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად „ჩვენი საუკუნის ისტორიაში". მან დასძინა, რომ ასეთივე აზრისაა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტიც.

— ჩვენ ყურადღებით ვუსმენთ ბატონ შევარდნაძის რჩევას, — თქვა ელჩმა, — რომელიც მეტად ჩანია პროგრესულად. ჩვენთვის ძალზე სასარგებლო იყო მოვისმინა მისი აზრი ბევრ საკითხზე.

წინა დღით, 7 ივნისს, სახელმწიფოს მეთაურმა დარბაზობა გაუმართა სტროუბ ტალბოტსა და საპრეზიდენტო დელეგაციის წევრებს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში.

ამერიკის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე სტროუბ ტალბოტი რამდენიმე წელს მუშაობდა მოსკოვში მთელი რიგი უდიდესი ამერიკული გამოცემების კორესპონდენტად. იგი თანაავტორია წიგნისა „ემდლის დონეზე", რომელიც წელს ბოსტონში გამოიცა. წიგნში, რომელსაც სენსაციად დაიდო ნანახი და უნიკალური დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი, ავტორებმა გადაჭრით ფაზის [illegible] ცივი ომის საინტერესო ფაზის სურათი. მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მომხდარ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებმაც ჩვენი საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ძვრები განაპირობა. წიგნის მთავარი მოქმედი პირები ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ელიტის ის აქტიური წარმომადგენლები არიან, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა ყოველივე მომხდარი. მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ეღუარდ შევარდნაძის როლს აღნიშნული მოვლენების განვითარებაში.

წიგნის ერთ-ერთ ფრაგმენტში ნათქვამია:

„...ცივი ომი, ალბათ, ასე სწრაფად და მშვიდობიანად არ დამთავრდებოდა, ბუშს და გორბაჩოვს სხვა საგარეო საქმეთა მინისტრები რომ ჰყოლოდათ. ისით კონკრეტულ საკითხებში, როგორც არის შეიარაღებისადმი კონტროლი თუ რეგიონულ კონფლიქტთა მოგვარება, ჯეიმს ბეიკერი და ეღუარდ შევარდნაძე უფრო მიზანსწრაფული აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი უფროსები (ზემდგომები).

ბეიკერი, მსგავსად სხვა ჭკვიანი დროის ცნობილი დიპლომატებისა, არასოდეს ხელმძღვანელობდა იდეოლოგიით. პირიქით, იგი მტკიცედ ეღიქმოდა ამერიკის საშინაო პოლიტიკაში ბუშის ერთგვარ პასიურობას, რაც, მისი აზრით, ადმინისტრაციისათვის საზიანო იყო. მოგვიანებით, იგი ხელიდან არარ უშვებდა საქმიანობაში ბუნებით მინიჭებული ალღოს გამოყენების შესაძლებლობას. მართალია, მას არასოდეს გაუსვამს საგარეო ხაზი აღნიშნული თვისებებისათვის, მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობდა გამოჩენილიყო როგორც მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე. ჟურნალისტის, მისი აზრით, კარგ სამსახურს გაუწევდა მომავალში საკუთარი თავის პრეზიდენტად წამოყენების შემთხვევაში.

შესაძლოა გორბაჩოვი იყო ის პიროვნება, რომელიც ყველაზე მეტად გააოცა შევარდნაძემ, როდესაც აღმოჩნდა, რომ იგი ბევრად მეტი იყო, ვიდრე მისი დიპლომატიის უბრალო მსახური. გორბაჩოვის საგარეო საქმეთა მინისტრის ქმედება, რომელიც მოტივირებული იყო მშობლიურ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი სიმპათიითა და თბილისში დატრიალებული ტრაგედიით (იგულისხმება 9 აპრილის ტრაგედია) აღშფოთებით, სულ უფრო მეტად უბიძგებდა საბჭოთა ლიდერის კავშირის დაშლისაკენ მიმართული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ისეთ საკითხებში, როგორიცაა შეიარაღებისადმი კონტროლი, აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება, გერმანიის გაერთიანება და სპარსეთის ყურის კრიზისი, შევარდნაძე უფრო მამაცი აღმოჩნდა, ვიდრე გორბაჩოვი, როდესაც კომუნისტური პარტიის, საკავშირო და სამხედრო წრეების კონსერვატორებს უპირისპირდებოდნენ.

დაბოლოს, შევარდნაძემ, პიროვნებისაგან განსხვავებით, დათმო რა მრავალი ბრძოლა, საბოლოოდ მაინც მოიგო ომი".

• • •

სურათზე: შეხვედრის დროს.

ბიჭი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საკონსულო ურთიერთობათა შესახებ" ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს ვენის 1963 წლის კონვენციას „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ".
2. ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ნოდარ გიორგაძისა და პანტელეიმონ გიორგაძისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ნოდარ გიორგაძესა და პანტელეიმონ გიორგაძეს შეუწყდეთ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, შესაბამისად, ქ. ვენაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელად და სასაზღვრო ჯარების სარდლად — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასის" გათავისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მაისის 412 დადგენილების გაუქმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 31 მაისის 412 დადგენილებით გაათავისუფლა მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასი" საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან 15.500 ტონა დიზელის საწვავის გატანასა და მის სანაცვლოდ რესპუბლიკისათვის აუცილებელი პროდუქტების შემოტანასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეს დადგენილება ეწინააღმდეგება „საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის I კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლს, რომლის თანახმადაც აკრძალულია საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა გათავისუფლება და შეღავათების მიცემა ბიუჯეტში გადასახადებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მაისის 412 დადგენილება „საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასის" გათავისუფლების შესახებ".
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა არ დაუშვას მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგო დადგენილებებისა და განკარგულებების მიღება.
3. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულება

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება აშშ-ის სამოქალაქო ორგანიზაცია „მშვიდობის კორპუსთან" თანამშრომლობის შესახებ და საჭიროდ ჩაითვალოს რესპუბლიკაში ამ ორგანიზაციის ეკონომიკის, მრეწველობის, ფინანსების, საბანკო საქმის, მენეჯმენტის, საერთაშორისო და სისხლის სამართლის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კომპიუტერიზაციის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და სხვა დარგის მოხალისე სპეციალისტთა მოწვევა.
2. დაევალოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, სხვა ორგანიზაციებს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განაცხადი იმის თაობაზე, თუ რა დარგის, რომელი ვიწრო სპეციალობის (კონკრეტული მოვალეობების აღწერით) და რა რაოდენობის ამერიკელი სპეციალისტების მოწვევა მიაჩნიათ საჭიროდ.
3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მეშვეობით დაიწყოს მოლაპარაკება სამოქალაქო ორგანიზაცია „მშვიდობის კორპუსის" ხელმძღვანელობასთან საქართველოში მოხალისე სპეციალისტების მოწვევის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაეკისროს აშშ-ის „მშვიდობის კორპუსის" მოხალისე სპეციალისტების საქართველოში ჩამოყვანასთან და მათ მაღალეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობის საერთო კოორდინაცია.

4. ამერიკელ მოხალისე სპეციალისტთა ბინებით უზრუნველყოფა დაევალოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „დიპსერვისის" სამმართველოს.
5. სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები, რომელთა მოწვევით საქართველოში ჩამოვლენ „მშვიდობის კორპუსის" მოხალისე სპეციალისტები, ვალდებული არიან აუნაზღაურონ „დიპსერვისს" ბინის ქირის ღირებულება და ამერიკელი სპეციალისტები უზრუნველყონ სამუშაო ოფისებით.

თ. სიგუა.

თბილისი, 1993 წლის 7 ივნისი.

ნომერში

- არა მარტო უსამართლობა და ცილისწამება, არამედ — უზნეობაც! 2
- თელაველები თურქმა მოატყუა და გერმანელებთან შერცხვნენ. 4

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში ცვლილებების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1992 წლის 6 ნოემბერს მიღებულ საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი და მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს იმართება პლენარული სხდომები; ორშაბათს და პარასკევს — მუდმივი და დროებითი კომისიების სხდომები. ოთხშაბათი, როგორც წესი, პარლამენტის წევრების შეკითხვებისა და ზოგადპოლიტიკური და სხვადასხვა საკითხების განხილვის დღეა.

მუხლი 12. პარლამენტის სამუშაო დღე სამშაბათს და ხუთშაბათს იწყება დილის 10 საათზე და მთავრდება 18 საათზე, ოთხშაბათს იწყება 14 საათზე და მთავრდება 18 საათზე. შესვენება ცხადდება მუშაობის ყოველი საათნახევრის შემდეგ, დიდი შესვენება — 13-დან 15 საათამდე. საპარლამენტო ფრაქციის მოთხოვნით კენჭისყრის წინ ცხადდება ხანმოკლე შესვენება. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტს ცვლილება შეაქვს თავისი მუშაობის განრიგში".

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საკუთრების უფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საკუთრების უფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

7 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის რომან გოცირიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეკონომიკური რეფორმის შტაბის რიგგარეშე სხდომა. სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების მოსამზადებელ ღონისძიებათა შესახებ. შტაბმა განხილული საკითხის თაობაზე შეიმუშავა დადგენილების პროექტები, რომლებიც წარედგინება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს.

შეწყდეს სოხუმის ბარბაროსული დაბომბვა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და პირადად ბატონმა ეღუარდ შევარდნაძემ, მრავალგზის, კატეგორიულად მოსთხოვეს გუდაუთის დაჯგუფებას შეეწყვიტა ქალაქ სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში, ეს ვანდალური, სისხლისმღვრელი აქტები არათუ შემცირდა, არამედ ბევრად უფრო ინტენსიური გახდა.

ამ წუთში, როცა ამ განცხადებას ვაკეთებ, ქალაქ სოხუმს რამდენიმე დამანგრეველი დარტყმა მიაყენეს, ჭურვი მოხვდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობასაც. გუდაუთის დაჯგუფების შეიარაღებული ძალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გამოიწვიონ საქართველოს სამთავრობო ჯარების ადეკვატური რეაქცია, რაც ნიშნავს გუდაუთის, ტყვარჩელის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას.

ცხადია, საქართველოს ხელისუფლება თავს იკავებს ასეთი აქციის განხორციელებისაგან, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვთხოვთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, განსაკუთრებით რუსეთის სახელმწიფოს, მოახდინონ ქმედითი რეაგირება და მოსთხოვონ გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელობას შეწყვიტოს საქართველოს მოქალაქეების ბარბაროსული დაბომბვა ქალაქ სოხუმში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი
სანდრო კავსაძე.

აღუთქვა დახმარება

7 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ეღუარდ შევარდნაძის პირადმა წარმომადგენელმა კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ბატონმა სანდრო კავსაძემ თხოვნით მიმართა გაეროს წარმომადგენელს საქართველოში, ბატონ თეოდორ სტარჩევიჩს, აფხაზეთში ვითარების გამწვავების გამო, გაეშუამდგომლოს გაეროს ხელმძღვანელობის წინაშე დააჩქარონ სამშვიდობო ღონისძიებების განხილვა, ხოლო განხილვამდე სამხედრო დამკვირვებლების გამოგზავნა, რათა რეალურად იქნეს მიღწეული მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტა.

ბატონმა თეოდორ სტარჩევიჩმა ბატონ სანდრო კავსაძეს აღუთქვა დახმარება და აღნიშნა, რომ ყველაფერს იღონებს ამ პროცესის დასაჩქარებლად.

9 ივნისს ანდრია კოზირევი ეწვევა საქართველოს

მოსკოვი, 7 ივნისი. (იტარ-ტასის დიპლომატიური კორ. გიორგი შმელიოვი). რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი 9 ივნისს სამუშაო ვიზიტად ეწვევა საქართველოს რესპუბლიკას.

როგორც დღეს იტარ-ტასის კორესპონდენტს აცნობა რუსეთის მაღალი თანამდებობის დიპლომატმა, მინისტრის ვიზიტის მიზანია გააანალიზოს სიტუაციის განვითარება რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ეღუარდ შევარდნაძის 14 მაისს მოსკოვში გამართული შეხვედრის შემდეგ, განიხილოს ქვეყნის ხელმძღვანელებთან ერთად აფხაზეთში შექმნილი ვითარების მოწესრიგების საკითხები.

ანდრია კოზირევი აპირებს ეწვიოს თბილისს, გუდაუთასა და სოხუმს.

საქართველოს პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი სამძიმარს უცხადებენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ავთანდილ მარგიანს დედის

ბაბილინა დიმიტრის ასულ იოსელიანის

გარდაცვალების გამო.

სანამ მეორე ბორბალიც ამობრუნებულა

რა საზიზღარი გრძნობაა, როდესაც ზოგჯერ მაინც ჰყოფნის გონიერება, ყველაფერი ილაჯის ხადი აზრის გამარჯვებისათვის. ამ ბოლო ხანებში ამგვარი აზრი ჩვენში ისეა თავში ჩარტყმული, ხმის უფლებაჩამორთმეული, კუთხეში მიგდებული და, სამაგიეროდ, ისე თარეშობს ირგვლივ ყოველი ჭურის უხამსობა, რომ გონიერების ნებისმიერი გამოვლინება ლამის გამარჯვებად აღიქმება.

გუშინ, დილით, სხდომაზე თითქმის ერთდროულად შემოვიდნენ და თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ დეპუტატები თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი.

თავისთავად გაჩნდა პარალელი: აზერბაიჯანში ამ ბოლო დღეებში დატრიალებული მოვლენები. ვადამოგვარი სამხედრო ჩინი — IV ხარისხის კორპუსის ყოფილი მეთაური სურათ ჰუსეინოვი ხათავეში ჩაუდგა ბუნტს და მოითხოვა მთავრობის მეთაურის. მისივე მოგვარის პანახ ჰუსეინოვის გადადგომა. რასაკვირველია, დაიღვარა სისხლი — დაღუპულია ორმოცდაათ კაცზე მეტი. 8 ივნისი გამოცხადებულია გლოვის დღედ. მოსალოდნელი, უფრო მეტი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებამ განჯიდან გაიყვანა თავისი შეიარაღებული ძალები, ხოლო მთავრობის მეთაურმა თავისი შესაძლო გადადგომის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენშიც ბევრს ცდილობდნენ დაახლოებით ამგვარი სცენარის მოხაზვას — სამხედრო მინისტრის მიერ შეხსაძლო შეიარაღებული გადატრიალების ფაქტად ქცევას. ბევრი გაჩეთი ილოლიავა იდეას, თითქოს გვქონდეს სისხლი და სიკვდილი. მაგრამ, როგორც ვიცით, ამჯერად გონიერებამ სძლია უგუნურებას — ღირსეულად წავიდა თავდაცვის მინისტრი და ახლა — პარლამენტში თავის სკამზე ზის ბატონი ჟიული შარტავას გვერდით.

სხდომა კი, გუშინდელი, ერთგვარად რეკორდული იყო. ვგონებ, აუხდა დიდი ხნის ოცნება სპიკერს — უდებატოდ საკითხების კენჭისყრის თაობაზე — ზედიზედ მიიღეს დადგენილებები „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე"; „საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში ცვლილებების თაობაზე"; „საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისაგან მრავალდარგოვანი მცირე საწარმო „ბაასის" გათავისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მაისის № 412 დადგენილების გაუქმების თაობაზე". პირველი წაკითხვით მიიღეს „კანონი საკუთრების შესახებ".

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

საქართველოს პარლამენტის დროებით რეგლამენტში ცვლილებების აუცილებლობაზე რომ საუბრობდა, დეპუტატმა შალვა ნათელაშვილმა თქვა, გადამწყვეტი ღონისძიებები თუ არ განვახორციელეთ და პარლამენტის საქმიანობა არსებითად არ გარდავქმენით, ჩვენი სახელმწიფოებრიობა თვალსა და ხელს შუა ჩაგვეშვებნება, ისედაც ურემი უკვე ცალ თვალზეა ამოტრიალებული.

აი, მეორე ბორბალიც რომ არ ამოტრიალდეს და საერთოდ ზურგზე დაცემულნი არ აღმოჩნდეთ, საამისო გზების ძიება იყო ბატონ ვახტანგ ძაბირაძის გამოსვლაში, რომელიც მან ფრაქცია „რესპუბლიკელების" სახელით გააკეთა.

— ადამიანის ცხოვრებაში, — თქვა მან, — დგება წამი, როდესაც მან იმისთვის, რომ არ დაიღუპოს, გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგას. ასეთივე მომენტი შეიძლება დაუდგეს პარლამენტს, ქვეყანას საერთოდ. სწორედ ის პრობლემა გვაქვს ახლა გადასაწყვეტი. ხელისუფლების კრიზისი, თავის ყველა მონაცემით რეალობაა, ამის დასტურად მარტო იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ ქვეყნის ერთ მეხუთედზე ხელისუფლების იურისდიქცია ვერ ხორციელდება. — და მან ამ კრიზისისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ჩამოთვალა. — უკვე დროა ვეძიოთ გამოსავალი. რეფორმები თვით პარლამენტით უნდა დავიწყოთ — დეპუტატმა ორსაფეხურიანი პარლამენტის შემოღების წინადადება შემოიტანა.

მთავრობის კაბინეტის ახლებურად ჩამოყალიბების შესახებაც ითქვა.

დაახლოებით ერთი თვის წინათ ფრაქცია „რესპუბლიკელებმა" მწვავედ დააყენეს ეს საკითხი და მოითხოვეს ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნა.

— მაშინ ზოგმა ისე გაიგო, თითქოს ჩვენ სამინისტროების რაოდენობის შემცირებაზე გვქონდა საუბარი, — განაგრძო დეპუტატმა, — სინამდვილეში საქმე ეხება კაბინეტის მუშაობის არსებით გარდაქმნას. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი მთავრობა, რომელიც შეძლებს რეფორმების რეალურად განხორციელებას და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას. მას სათავეში სახელმწიფოს მეთაური უნდა ჩაუდგეს.

საკითხი დგას მარტივად, მაგრამ უმწვავესად: ან კარდინალურ ღონისძიებებს მივმართოთ და ვიხსნათ თავი, ან გავაგრძელოთ ვარდნა უფსკრულისაკენ — ასეთი იყო გამოსვლის დედაზრი.

ამ საკითხთან დაკავშირებით კამათი სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობით, ხვალ გაიმართება.

გალინა სარჩიმაშვილი,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

ამ დღეებში

გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის" და „სვობოდნაია გრუზიას" კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

სათქმელი უნდა ითქვას

უკვე მოუთმენელია დაუსჯელობით გათავხედებულ ფანატიკოსთა გულისამრევი შანტაჟი, მოსაბეზრებელია მოგონილი ბრალდებებისა და გაცვეთილი უნიჭო ეპითეტების ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოსმენა, მიუტევებელია ზოგი გაზეთის მიერ ასეთი პროვოკაციების დაუფიქრებლად გამოქვეყნება.

ამ ბოლო დროს რამდენიმე გაზეთმა („აღდგომა", 18. IV, „დრონი", 24. IV, „საქართველოს სამრეკლო", 28. IV) ზედიზედ გამოაქვეყნა სვანეთის მცხოვრებთა ერთი ჯგუფის (19 კაცის) „მიმართვა" საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელსაც, ამ ჯგუფის განცხადებით, 2175 კაცი აწერს ხელს. შედარებით უცნობ მოქალაქეთა ეს პატარა ჯგუფი, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, თავს ნებას აძლევს, ილაპარაკოს სვანეთის მთელი მოსახლეობის სახელით (იხ. სათაური — „სვანეთის მოსახლეობის მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი") და მისივე სახელით უცერემონიოდ მოითხოვს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების დაუყოვნებლივ გადადგომასა და ყოფილი ხელისუფლების აღდგენას.

აშკარა დეზინფორმაციაა! არაფერი მსგავსი სინამდვილეში აქ არა ხდება. მთელი სვანეთი რომ ექსპრეზიდენტის მხარდამჭერი იყოს, მაშინ ის იმავე ექსპრეზიდენტის მომხრეთაგან არ იქნებოდა ბლოკირებული, ძირითადი საკომუნიკაციო არტერია ზუგდიდის მხარეს არ იქნებოდა გადაკეტილი და სვანეთის ახალგაზრდობა გმირულად არ იბრძოლებდა იმ ომში (აფხაზეთის ომში), რომელსაც ექსპრეზიდენტის მომხრეები „პროვოკაციულ ომს" უწოდებენ.

...

სვანეთი

სათამაშოა?

...

დან უშენენ ტყვიას, არამედ ის, რომ საოპერაციო მაგიდაზე სიკვდილთან მებრძოლ კაცს მისი მეგობრები იცავენ და მოძალადე მკვლელებს საავადმყოფოში შემოსვლის საშუალებას არ აძლევენ!

როგორც ვხედავთ, აქ გაუკუღმართებულია ყველაფერი; ასეთი უსამართლო მიდგომით კონფლიქტური სიტუაცია არათუ მოწესრიგდება, არამედ კიდევ უფრო დაიძაბება და მან შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამგვარი უკიდურესად ტენდენციური ძალების არსებობის პირობებში კონფლიქტის გაღრმავების თავიდან აცილებისა და ამ კონფლიქტის შედეგების ობიექტურად შეფასების იმედს, ვიმეორებთ, საქმეში სახელმწიფოს მეთაურის ჩარევა გვისახავს მხოლოდ.

რაც შეეხება გაზეთს, რომელშიც განხილული უსამართლო წერილი გამოქვეყნდა, მან, როგორც ჩანს, საბოლოოდ თქვა უარი „დრონის" სახელოვან ტრადიციებზე და უნუგეშოდ დაქანდა იმ წუმპისაკენ, რომელშიც „იბერია-სპექტრი" და „საქართველოს სამრეკლო" ჰყუმპალაობენ.

პროფესორები: ალექსანდრე ონიანი, გრიგოლ მარგიანი, გერონტი გასვიანი, თოსებ კვიციანი.

რატომ არ სურს გუდაუთის მხარეს მშვიდობა

ივნისის დამდეგიდან კვლავ გამწვავდა სიტუაცია აფხაზეთში. აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებანი რეგულარულად უშენენ ცეცხლს არა მარტო საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებს გუმისთისა და ოჩამჩირის მიმართულებებით, არამედ ახლომახლო სოფლებსაც. 5 ივნისიდან არტილერიის ჭურვებისა და „გრადის" დანადგარების ცეცხლი კვლავ დაუშინეს სოხუმის საცხოვრებელ უბნებს, სოფლებს შრომას, ახალშენს... კვლავ იღუპებიან მშვიდობიანი ადამიანები.

რით შეიძლება აიხსნას აფხაზთა მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის მორიგების ესოდენ აღმაშფოთებელი დარღვევები? ამ კითხვით დაიწყო საქინფორმის კორესპონდენტის საუბარი პოლკოვნიკ ვლადიმერ ჩიქოვანთან, სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სამხედრო მრჩეველთან, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან.

— სამწუხაროდ, ჩემ მიერ რამდენიმე დღის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოთქმული აზრი, რომ ილუზიაა ცეცხლის შეწყვეტა კონფლიქტის ზონაში, დადასტურდა, — თქვა სამხედრო სპეციალისტმა. — ჩვენ გვაქვს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ...

... ჯერ კიდევ „მუშაობს". კვლავ იღებენ იარაღსა და ტექნიკას, შეისყიდეს 6 მილიონზე მეტი ვაზნა, 80 ტონაზე მეტი სამხედრო ტვირთი, მათ შორის სხვადასხვაგვარი შეიარაღებაც. სოჭის მოლაპარაკების შემდეგ ამ საშუალებების ანგარიშში გუდაუთაში მიიღეს რამდენიმე საბრძოლო კომპლექტიანი ...

... რამ, როგორ გააკეთებ მშვიდობიან საქმეებს, როცა ჩვენ თვალწინ მდინარე გუმისთის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ გუდაუთის ხელმძღვანელობის ბრძანებით დაიწყეს ხანგრძლივი ბეტონის სიმაგრეების მშენებლობა ...

... ელიც აბრკოლებს აფხაზეთში მშვიდობის დამყარებას.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია გუდაუთის მხარის მიერ შეიარაღების შეძენაში დაბანდებული მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრები. ეს ფული ...

... გაგვერკვია კონფლიქტის ზონაში მოსახლეობის სურსათით მომარაგებასთან დაკავშირებული ვითარება და განგვეხორციელებინა მრავალი სხვა გეგმა, რომელთა მიზანია მშვიდობასა და ვითარების სტაბილიზაციაზე გადასვლა. მაგ...

... ან-24 თვითმფრინავი, რომლებმაც ჩამოიტანეს ტექნიკა და ჩამოიყვანეს „ომონელები" დნესტრისპირეთიდან, რომლებიც ტყვარჩელში უკვე დაახლოებით ათასს შეადგენენ და რომლებმაც იქ მოაწყვეს შტაბი, აღმართეს თავიანთი დრო...

... დოკუმენტის ხელმოწერის მომენტიდან ქართველთა მხარეს არც ერთი შეტევითი ოპერაცია არ განუხორციელებია.

საუბარს უძღვებოდა
ვლადიმერ თავაძე.

ომით გამოღვიძებული ქართველები

„ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა"

მაშინ, როდესაც ეროვნულობისადმი გამოჩენილი ყურადღება დაგმობილი იყო და ყველაფერი ეროვნული ნაციონალისტურ გამოვლინებად აღიქმებოდა, ხოლო თვით სიტყვა ნაციონალიზმი უკიდურესად უარყოფითად აიხსნებოდა, აფხაზეთში არასწორ ეროვნულ პოლიტიკას, როგორც იტყვიან, გზა გაეხსნა. აფხაზობა და აფხაზად დაბადება პრივილეგიას წარმოადგენდა. მცირერიცხოვან აფხაზებს ყველაზე მრავალრიცხოვანი მინისტრთა და სახელმწიფო მოხელეთა ამალა ჰყავდათ. ეგრეთ წოდებულ შემოსავლიან თანამდებობათა უმრავლესობაზე მხოლოდ აფხაზები ...

... ეს ყველაფერი საკმაოდ ახლო წარსულია. ამასთან დაკავშირებით ბატონმა კონსტანტინე გამსახურდიამ ერთ-ერთ თავყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მწარედ იხუმრა: დამწერლობის შექმნისა და განვითარების ისტორიის შესასწავლად დაარსებულია სპეციალური კვლევითი ინსტიტუტები, განყოფილებები და სექციები, სადაც პირველხარისხოვანი მეცნიერი თანამშრომლები აღნიშნულ საკითხზე თავს იტეხენ. თქვენ ის ბედნიერი ხალხი ხართ, ვისაც ასეთი თავსატეხი არ გჭირდებათ. თქვენი დამწერლობის შემქმნელი და დამფუძნებელი აგერ პრეზიდიუმში ბრძანდებაო. მართლაც, პრეზიდიუმში ბატონი დიმიტრი გულია თავმომწონედ იჯდა.

აფხაზი მწერლები სულ რამდენიმე ათწლეულში ისე „მოღონიერდნენ", რომ თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქა...

... კოვანი აფხაზი თანამგზავრი წინ, მძღოლის გვერდით დავსვით. დაჯდომისთანავე უკან მსხდომთ მოგვიბრუნდა და ბოდიში მოგვიხადა იმის გამო, რომ ზურგით უწევდა ჯდომა. ეს იმდენად სერიოზულად გააკეთა, რომ სულაც არ ჰგავდა ავტობუსის სალონში უკან მსხდომთათვის აჩქარებულ ბოდიშის მოხდასო. ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტში მოხუცი აფხაზის ტრადიციული კულტურა იკითხება, რასაც ყველა აღიარებს, ვისაც აფხაზებთან რაიმე შეხება ჰქონია, ომმა ერთმანეთის ღირსებები არ უნდა დაგვავიწყოს და თვალი მარტოოდენ სამტროდ არ უნდა დაგვიყენოს.

... რის ახალი ნაწილების შემოსვლა აფხაზეთის ინტერესებში შედის. ისინი, საჭიროებისამებრ, აფხაზეთის მშვიდობიან მოსახლეობას დაიცავენ აგრესიისგანო.

ჯარის აღნიშნულ ნაწილებს დღეს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში ლომის წილი რომ მიუძღვით, ეს უკვე სადავო არ არის. „აიდგილარას" თავკაცის მაშინდელ გამონათქვამში დღევანდელი მდგომარეობის სისხლიანი კონტურები იკვეთება. ამავე ინტერვიუში მან განაცხადა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს, აფხაზეთს საერთოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოვაცხადებდით, მაგრამ სადღეისოდ ამაზე ფიქრი უტოპიურიაო." დღეს აფხაზეთში ამ უტოპიის, ანუ განუხორციელებელის განხორციელება ხდება.

1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგედიის შესახებ ჩემმა მოსაუბრემ აღნიშნა: „სისხლისღვრა არ შეიძლება რომელიმე ხალხის მიზანი ყოფილიყო. ეს იყო ნამვილად შეუფერებელი მოქმედება აფხაზებისთვისაც და ქართველებისთვისაც... სისხლიანი ექსცესები არ შეიძლება რომელიმე მხარისთვის მომგებიან პოლიტიკურ მეთოდს წარმოადგენდეს".

მას შემდეგ არც თუ დიდი დრო არის გასული და ამ ფრაზების ავტორი აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის სტატუსით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იბრძვის. როდის აქეთ გახდა, ბატონო მინისტრო, სისხლისღვრა აფხაზი ხალხის მიზანი? რამდენად შესაფერისია იგი აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიული ურთიერთობისათვის? განა დღეს „მომგებიან პოლიტიკურ მეთოდს" წარმოადგენს ის „სისხლიანი ექსცესები", რომელსაც თქვენ, როგორც მინისტრი, ხელმძღვანელობთ?

ეს და მრავალი სხვა კითხვა უპასუხოდ რჩება, რადგან მინისტრი ფიცხელ ომში არის ჩართული და ამეებზე საპასუხოდ არ სცალია, მაგრამ დადგება ჟამი და ამ კითხვებს პასუხი გაეცემა. სხვა თუ არაფერი, დრო გასცემს პასუხს.

... ფსიქოლოგიურ თვითმყოფადობაზე თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენდა. აფხაზებში ყალიბდებოდა გამორჩეულობისა და საკუთარ უპირატესობათა ყალბი შეგრძნება. ასეთ ფონზე სუსტი ნებისყოფის ადამიანები ირხეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა", სწორედ ამ სულმოკლეთა „რხევის" შედეგია სისხლით, ჯიშითა და გვარით წმინდა ქართველი აფხაზად რომ იწერება.

აფხაზეთში წაქეზებულ ომს ასეთ ქართველებში ერთგვარი გამოღვიძების ძალა ჰქონდა. ახლა აფხაზად წოდებული წერეთლები, ჰანკვეტაძეები, ჩიკვაიძეები, ვეკუები და სხვა ემბრიონული ქართული გვარის წარმომადგენლები თავისი პირვანდელი ეროვნულობის აღდგენას ითხოვენ. აფხაზეთის ომმა ქართველების გაქართველება გამოიწვიაო, იხუმრა ერთმა. ეს სწორედ ისეთი ხუმრობაა, რომელშიც ნახევარზე მეტი სიმართლეა. შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ზოგიერთ ასეთ ქართველ-აფხაზსაც შეაჩეჩა ხელში იარაღი. და იბრძვიან ძმები ძმების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთში მიმდინარე მოვლენების მიმართ „ძმათამკვლელი ომის" ხმარება აღშფოთებას იწვევს. იგი ნაწილობრივ მართლაც ასეა. ისტორიულგენეტიკურად ჩვენ მართლაც ძმები ვართ და თუ ეს მთლად ასე არ არის, ეს ბოლო დროის არასწორმა ეროვნულმა ინტერესებმა და სხვადასხვა პოლიტიკურმა ფაქტორებმა გამოიწვია.

ერად ქცევის პროცესი

მეოცე საუკუნე აფხაზთა ერადქცევის პროცესის საწყისი საუკუნეა. გაჩნდა მანამდე არარსებული აფხაზური დამწერლობა. დაიბადა აფხაზურენოვანი ლიტერატურა. საფუძველი ჩაეყარა აფხაზურენოვან განათლებას.

... დეგ სოხუმში ორი მწერალთა სახლია. ერთი ახლადგარემონტებული რამდენიმე პატარა ოთახისაგან შედგება, რომელშიც თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, მაგრამ ქართველი მწერლები ავად თუ კარგად მაინც ეტევიან, და მეორე — ტრადიციული სოხუმის მწერალთა სახლი, რომელიც აფხაზმა მწერლებმა დაისაკუთრეს.

„ბოდიში, რომ ზურგით მიწევს ჯდომა"

1991 წლის ზაფხულში ამ შენობაში შევხვდი „აიდგილარას" თავკაცს სერგეი შამბას. აღნიშნული შენობა მწერალთა სახლის ფუნქციასთან ერთად აფხაზეთის ეროვნული ფორუმის ერთგვარ შტაბ-ბინასაც წარმოადგენდა. იგი საოცრად დამახსომდა თავისი სიბნელით — იქ დამხვდურებმა ასანთის ღერის პატარა შუქით, რომელიც ძალიან ჩქარა ქრებოდა, კედელზე ხელების ცეცებით ამიყვანეს მეორე სართულზე, სადაც ბატონ სერგეის ინტერვიუ ჩამოვართვი. ჩვენი საუბრის დროს ოთახში თავის საქმეზე შემოვიდა ერთი ასაკოვანი მამაკაცი, რომელსაც ჩვენთვის ყურადღება არც კი მოუქცევია. მისი შემოსვლისთანავე ჩემი მოსაუბრე ფეხზე წამოდგა. იმის გამო, რომ ბატონი სერგეი იმ შენობაში თანამდებობრივად პირველი კაცი იყო, მისი ფეხზე ადგომა სხვას არაფერს მიგვანიშნებდა, თუ არა ასაკობრივად უფროსისადმი პატივისცემას. უფროს-უმცროსობის ტრადიციული კავკასიური ადათი აფხაზებს საკმაოდ კარგად აქვთ შემონახული. ამასთან დაკავშირებით, ჩემმა მეგობარმა თენგიზ პაჭკორიამ ერთი უცნაური შემთხვევის შესახებ მიამბო:

ერთხელ, მსუბუქ ავტომანქანაში ჩასხდომის დროს, ჩვენი ასა...

სიბნელეში მუზებს სული ეხუთებათ

უკვე საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, როდესაც აფხაზ მწერალთა სახლს ვეწვიე. ფანჯრებს საფარი ჩამოგლეჯილი ჰქონდა და მზის შუქი უხვად შემოდიოდა, მაგრამ მაგიდები და სკამები დამტვრეული იყო, იატაკზე ეყარა წიგნები, ხელნაწერებით სავსე საქაღალდეები და დალეწილი რკინის სეიფები. ომს თავისი მსახვრალი ხელი ლიტერატურის ამ მუზათა საუფლოშიც შემოეყო. თუმცა ვეჭვობ, რომ უკანასკნელ ხანს ამ შენობაში მუზები სახლობდნენ. აქ გამეფებულ სიბნელისა და სინესტის სუნში, დარწმუნებული ვარ, მუზებს სული შეეხუთებოდათ.

თქვენ პასუხს აგებთ, ბატონო მინისტრო

რაკი ბატონ სერგეი შამბასთან ინტერვიუ ვახსენე, გაყვითლებული გაზეთის ფურცლებიდან ამ ინტერვიუს რამდენიმე ფრაგმენტს გავიხსენებ.

მაშინ აფხაზეთში ფარულად შემოყავდათ საბჭოთა ჯარის ნაწილები, რის შესახებაც რესპოდენტმა განაცხადა: საბჭოთა ჯა...

გოგიტა მელიქიძე.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ, ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

ლტოლვილი გაზეთი, ლტოლვილი ჟურნალისტები

როდემდე, ჩვენო „შიდა ქართლო"?

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები შეხვდნენ გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს.

ორი წელი სრულდება, რაც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წამყვანი ქართული გაზეთი ცხინვალში აღარ იბეჭდება. დღეს გაზეთიცა და სამაჩაბლოელი ჟურნალისტებიც ლტოლვილები არიან — „შიდა ქართლი" გორში გამოდის, მისი შემოქმედებითი კოლექტივიც გორში ცხოვრობს, ვინ — სასტუმროში, ვინ — ტურბაზაში, ვინ — პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის შენობაში.

და მაინც, „შიდა ქართლი" ბედს არ ნებდება — იბრძვის, იღწვის, მკითხველამდე მართალი სიტყვა მიაქვს.

„შიდა ქართლის" რედაქციისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრთა შეხვედრაზე, რომელიც ამ დღეებში ჟურნალისტთა ფედერაციის გორის სამხარეო ორგანიზაციის თაოსნობით გაიმართა, მწვავე პრინციპული საუბარი გაიმართა გაზეთის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივის საყოფაცხოვრებო, შრომითი პირობების გაუმჯობესებაზე, დღემდე გადაუწყვეტელ საკითხების მოგვარებაზე; თავიანთ გამოსვლებში სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება „შიდა ქართლის" მთავარმა რედაქტორმა ვასილ საგანაძემ, გაზეთის ორგანიზატორ-კორესპონდენტმა ალექსი მერაბიშვილმა, რედაქტორის მოადგილემ რობერტ ოდიკაძემ, განყოფილების გამგემ თინა კვალიძემ, კორესპონდენტმა ნანა საბანაძემ და სხვებმა.

ბევრი ითქვა საერთო სატკივარზე, ქვეყანაში პოლიტიკურ ვითარებაზე, სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე, და ძალიან ცოტა — საკუთარ გაჭირვებაზე, მოუწყობელ ცხოვრებაზე, შიმშილსა და სიცივეზე. ცხინვალელ ჟურნალისტთა განწყობილება და ფიქრები კიდევაც აისახება „შიდა ქართლის" ფურცლებზე. შეიძლება ამის გამოცაა, რომ ამ პუბლიკაციების ტონი ხან უშელავათო და მკაცრია, ხან — სევდიანი და ემოციური.

მადლობა ყველა მათ, ვინც იცის, რას ნიშნავს გაჭირვება და უმწეობა, ვინც მარტო თანაგრძნობას კი არ სჯერდება, პრაქტიკულად ეხმარება მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილთ.

„შიდა ქართლის" ჟურნალისტებმა მადლიერების გრძნობით აღნიშნეს გორის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის ვალიკო დოლიაშვილის პირადი წვლილი გაზეთის „სიცოცხლისუნარიანობის" განმტკიცებაში. ჟურნალისტთა ფედერაციის გორის რეგიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელმა მდივანმა მაყვალა ოქროპირიძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებს „შიდა ქართლის" შემოქმედებითი კოლექტივის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის აკაკი სიხარულიძის გამოსვლა.

— სახელმწიფოს მეთაურთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ჟურნალისტების ამასწინანდელ შეხვედრაზე, — თქვა მან, — ბევრი საჭირო და სასარგებლო საქმე დაიძრა ადგილიდან.

მომხსენებელმა შეხვედრის მონაწილეთ ის ღონისძიებები გააცნო, რომლებმაც უნდა გააუმჯობესონ ცხინვალელი ჟურნალისტების სოციალური დაცვა, მატერიალური უზრუნველყოფა.

გამოცხადდა, რომ ჟურნალისტთა ფედერაცია რედაქციის ანგარიშზე გადარიცხავს გარკვეულ თანხას, ამასთან უახლოეს ხანში მოაგვარებს ლტოლვილთა საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის, ჟურნალისტთა ოჯახებისათვის პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენის, მათთვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის საკითხებს.

ქალაქ გორის გამგეობამ „შიდა ქართლის" ანგარიშზე ჩარიცხა 50 ათასი მანეთი, გორის ქალთა საბჭომ (თავმჯდომარე ქალბატონი გულნარა ჯაშაშვილი) — 10 ათასი მანეთი, შინდისის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ქალბატონმა ასმათ გარსევანიშვილმა საავადმყოფოს მედპერსონალის სახელით ივალდებულა უფასო და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება გაუწიოს ლტოლვილ ჟურნალისტებს.

შეხვედრის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ფირმა „გვირილას" პრეზიდენტის ქალბატონ ციცინო ეკალაძის განცხადებას. მან „შიდა ქართლის" ანგარიშზე მილიონი მანეთი ჩარიცხა.

შეხვედრაზე ცხინვალელი ჟურნალისტების ყოფისა და შრომის, სამაჩაბლოში მათი შეუფერხებლად გადაადგილების საკითხებზე ილაპარაკა ცხინვალში დისლოცირებული სამშვიდობო ჯარების სარდალმა გენერალმა დილა ადაშიძემ.

... ერთ თვეში „შიდა ქართლს" არსებობის ორი წელი შეუსრულდება. მისი ბიოგრაფიის მესამე ფურცელი ბედნიერი და მშვიდი უნდა იყოს.

ცხინვალის სამშვიდობო ძალების პრესცენტრი.

პრესცენტრის ჟურნალისტებმა თხოვნით ჰონორარი გადაარიცხეს „შიდა ქართლის" რედაქციის ანგარიშზე.

დადებულია ხელშეკრულება

მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დელეგაცია რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის რევაზ ყიფიანის ხელმძღვანელობით. რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურებმა დადეს სამართლებრივი დახმარებისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რომელშიც ნათქვამია:

[illegible]

მუხლი 1. სამართლებრივი დახმარების მოცულობა; სამართლებრივი დახმარება შეიძლება შემდეგ საკითხებზე:

— საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე საკითხებზე; ეკონომიკურ და საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში სამართალდარღვევათა შესახებ; გარემოს დაცვის, დამატებითი გამოძიების შემოწმების მასალების გადაგზავნის, სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრისა და დანაშაულობათა გამოძიების, სისხლის სამართლის, სამოქალაქო, საარბიტრაჟო და საოჯახო საქმეთა გამო ცალკეულ დავალებათა შესრულების, ეჭვმიტანილთა ძებნის, აგრეთვე დაპატიმრებულთა და განსასჯელ პირთა ეტაპით გაგზავნის, დანაშაულის ჩამდენ პირთა გადაცემის, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნის, მოტაცებული ქონების ძებნისა და უკანონოდ შეძენილ საგანთა და ფასეულობათა დაბრუნების, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუკავშირებელი საარქივო მასალებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემის, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის, კანონიერი განაჩენების დასაბუთების შემოწმებისა და იმ პირთა მიმართ მათი გამოყენების პროცესში წარმოქმნილი საკითხების შესახებ, რომლებსაც მსჯავრი დასდეს მხარეთა სასამართლოებმა და სასჯელს იხდიან შესაბამის სახელმწიფოთა შრომა-გასწორებით დაწესებულებებში. მხარეებს შესაძლებლად მიაჩნიათ ერთმანეთს გაუწიონ სამართლებრივი დახმარება საპროკურორო საქმიანობის საკითხებში, აგრეთვე გააფართოონ არასაპროცესო თანამშრომლობა, მათ შორის გამოცდილების გაზიარება, დაეხმარონ ერთმანეთს პროკურატურათა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებაში, შექმნან ჯგუფები საკოორდინაციო მუშაობისათვის ცალკეული მიმართულებების მიხედვით, გაცვალონ სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები: სახელმწიფოთაშორისი ხასიათის დანაშაულობათა გამოძიებისას (ორგანიზებული დამნაშავეობა, ნარკობიზნესი, ტერორიზმი, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვ.) შეიძლება შეიქმნას ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები. საკითხი იმ პირთა ან პირთა ჯგუფის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების თაობაზე, რომლებმაც სისხლის სამართლით განსჯადი ქმედება ჩაიდინეს ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ამ საქმეთა გამო ზედამხედველობის შესახებ, წყდება მხარეთა ხელმძღვანელების შეთანხმებით. ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მათ ხელთ წარმოებაში არსებული საქმეთა გამო შეასრულონ ყველა საპროცესო ქმედება მეორე მხარის ტერიტორიაზე მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარ მიიღონ ამ მხარის გენერალური, რაიონული, ქალაქის პროკურორის თანხმობა. პროკურატურებს შეუძლიათ აცნობონ ერთმანეთს ერთი მხარის ტერიტორიაზე დადგენილ პირთა სისხლის სამართლის დევნის შესახებ, რომლებსაც დანაშაული ჩადენილი აქვთ მეორე მხარის ტერიტორიაზე. ასეთ საქმეთა გამოძიების ორგანიზაციას განსაზღვრავენ მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა ხელმძღვანელები ან მათი მოადგილეები. მხარეები ურთიერთმორიგებით აწვდიან ცნობებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, აგრეთვე მეორე მხარის მოქალაქის მიმართ განაჩენის შესახებ, რომელიც კანონიერად შევიდა ძალაში. პროკურატურები მხარეთა ინიციატივით ვალდებულებას კისრულობენ ერთმანეთს შეატყობინონ და კოორდინაცია გაუწიონ მოქმედებას ცალკეულ სახეობათა დანაშაულობების წინა-

[illegible] მიმართ ხორციელდება კონკრეტული მოქმედება, მათ საცხოვრებელ ან ადგილსამყოფელს და სხვა ცნობებს, რაც საჭიროა დავალების შესასრულებლად. იმ მოქმედების შესასრულებლად, რომელიც მოითხოვს პროკურორთა სპეციალური დადგენილებების ან სანქციების გამოტანას, ამ დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებს იღებენ დაინტერესებული მხარის შესაბამისი პროკურორები და თანამდებობის პირები მხოლოდ თავისი სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ და ურთავენ დავალებას. პროკურატურა — შუამდგომლობის შემსრულებელი, აღნიშნული დოკუმენტების კანონიერებისა და დასაბუთების საკითხს არ იხილავს. დავალებას სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ იმის შესაბამისად, თუ ვის ეკუთვნის იგი, ხელს აწერენ გენერალური პროკურორი, საოლქო და მასთან გათანაბრებული პროკურორები ან მათი მოადგილეები და უნდა დაესვას ბეჭედი. გადაუდებელ შემთხვევაში დავალებანი შეიძლება გაიგზავნოს ტელეტაიპით, ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ფორმით, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა დადასტურდეს წერილობით.

მუხლი 4. დანაშაულის ჩამდენ პირთა გადაცემა: ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩამდენ და მეორე მხარის ტერიტორიაზე მყოფ პირთა გადაცემა შეიძლება მხოლოდ ორივე სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებ- [illegible] საცხოვრებელი ადგილი და სხვ.). ამ პირის ეტაპირების შესახებ დადგენილების დედანი, იმ სახელმწიფოს დასახლებული პუნქტი, სადაც უნდა ჩაიყვანონ ეს პირი. გადაცემის მოთხოვნის მიღებისთანავე, მხარე, რომლისადმიც მიმართულია მოთხოვნა, დაუყოვნებლივ იღებს ღონისძიებებს ასეთი პირის დასაპატიმრებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება მოხდეს გადაცემა.

თუ პირი, რომლის გადაცემას მოითხოვს მხარე, ეძლევა სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლისადმიც მიმართულია მოთხოვნა, გადაცემა შეიძლება მოხდეს განაჩენის გამოტანის ან სასჯელის მოხდის შემდეგ, აგრეთვე შეწყალების შემთხვევაში ანდა სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების დროს.

მუხლი 5. დავალებათა შესრულების წესი: სამართლებრივი დახმარების გაწევის დავალებათა შესრულებისას ყოველი მხარე იყენებს თავისი სახელმწიფოს კანონმდებლობას. დახმარება არ გაიწევა, თუ ეს ეწინააღმდეგება ხელშემკვრელ მხარეთა კანონმდებლობას, საერთაშორისო შეთანხმებებს ან თუ არღვევს მათს სუვერენიტეტს. დავალების შესრულების შემდეგ, მისი შემსრულებელი მხარე მეორე მხარეს უბრუნებს ამის შესახებ ყველა საბუთს ანდა თავის დროზე ატყობინებს პროკურატურას, რომლიდანაც დავალება მოდის, რომ ყო- [illegible] დახმარების გაწევის ხარჯებს.

მუხლი 7. პროკურატურათა ურთიერთობის წესი: სამართლებრივი დახმარების გაწევის დროს პროკურატურები თავიანთ ურთიერთობას აგებენ ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, პროკურორებისა და მათთან გათანაბრებული პროკურორების მეშვეობით კონტაქტების განხორციელების გზით.

მუხლი 8. ენების გამოყენება სამართლებრივი დახმარების გაწევის დროს: სამართლებრივი დახმარების გაწევის საკითხებზე თავიანთ ურთიერთობაში მხარეები იყენებენ თავიანთ სახელმწიფო ენას, ამასთან სავალდებულოა დავალების (შუამდგომლობის) ტექსტის თარგმნა რუსულ ენაზე. თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით.

ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა მას ხელს მოაწერენ მხარეები და გამოცხადდება გენერალური პროკურორების ბრძანებებით. შეთანხმება მოქმედებს ძალაში შესვლის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში. ორივე სახელმწიფოს პროკურატურების თანხმობით შეთანხმებაში შეიძლება შეტანილი იყოს ცვლილებანი და დამატებანი. შეთანხმების მოქმედების ვადა ასეთივე ვადით გაგრძელებულად ითვლება, თუ ერთ-ერთი მხარე ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს, რომ უარს ამბობს შეთანხმებაზე.

ერთ-ერთი მხარის მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს ამ შეთანხმების მოქმედებას, ეს დაუყოვნებლივ ეუწყება მეორე მხარეს. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად რუსულ ენაზე, თანაც ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი
თევდორე ნინიძე.

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი
ვლადიმერ სტეპანკოვი.

მოსკოვი,
1993 წლის 17 მაისი.

სამოქალაქო მოძრაობა ერთობისა და კეთილდღეობისათვის...

[illegible] წილეობას საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში, ახალი საზოგადოების ფორმირებაში. კრება, რომელსაც ინტელიგენციის, ბიზნესისა და წარმოების, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი დაესწრო, ბატონმა ელდარ შენგელაიამ გახსნა. მან და შეკრების საინიციატივო ჯგუფის წევრებმა — ბატონმა გია ქორქოლიანმა, ქალბატონებმა ლანა ღოღობერიძემ, მანანა გიგინეიშვილმა — აღნიშნეს, რომ ქვეყნის წინაშე მდგომი უმწვავესი პრობლემების გადაჭრა, კრიზისული ვითარებიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების უდიდესი ნაწილის საერთო ძალისხმევით, ხელისუფლების უმაღლეს რგოლებსა და სამოქალაქო ჯგუფებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის გზების მოძიებით.

სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის, ქართული კულტურის მოღვაწეთა გამოსვლებში ითქვა, რომ განსახორციელებელია პროგრამები მოსახლეობის სოციალური დაცვის, განათლების, მედიცინის, ეკოლოგიის, ბიზნესის, მრეწველობის და მრავალ სხვა დარგში. მოსაგვარებელია სამხედრო კონფლიქტების შედეგად დაზარალებულთა და მებრძოლთა რეა- [illegible] ვაზეს მუშაობის სექციური და საკლუბო ფორმა. დამფუძნებელ კრებაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ „ერთობა და კეთილდღეობა" შორს დგას პარტიული შეზღუდულობისაგან და ბევრად უფრო ფართო მიზნებს ისახავს, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ბატონებმა: ვახტანგ როდონაიამ, დავით ვირსალაძემ, რეზო გაბრიაძემ, ნიკო ყიასაშვილმა, მერაბ კოკოჩაშვილმა და სხვებმა — დამსწრეთ შესთავაზეს კონკრეტული მოსაზრებები საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის. თელავის საზოგადოების წარმომადგენელმა მირიან ყარაულაშვილმა ისაუბრა რეგიონებთან კონტაქტის აუცილებლობაზე. მოძრაობას აქტიური მხარდაჭერა აღუთქვეს კოოპერატორთა კავშირის თავმჯდომარემ ომარ შეშერიძემ, საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის სახელით — სანდრო ურუშაძემ, „დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის" სახელით — ზაალ ქიქოძემ, საქართველოს „ხალხის კონგრესის" სახელით — იური მეჩითოვმა.

შეკრებამ სამოქალაქო მოძრაობა გამოაცხადა დაფუძნებულად და მიიღო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ;

სამოქალაქო მოძრაობა — „ერთობა და კეთილდღეობის" მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

მოგმართავთ იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება. საქართველო ან ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი ნაწილი გახდება, ან უნდობლობის, ურთიერთმტრობის, შურის გამო განადგურდება, გაირიყება.

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ გადარჩენისკენ ყოველთვის პირველ გზას მივყავდით.

თამამად შეიძლება ითქვას: ამდენი მეგობარი და კეთილისმსურველი საქართველოს არასდროს ჰყოლია. თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დაწინაურებული, მძლავრი, დემოკრატიული ქვეყნები მხარში გვიდგანან, მზად არიან დაგვეხმარონ სირთულეთა დაძლევაში. დგება ჟამი, როცა საქართველოს სიმცირეზე, სიპატარავეზე საუბარი [illegible] მნიშვნელობას კარგავს. ახლა მთავარია, ძალთა დაქსაქსვით, [illegible] არ დავადასტუროთ ჩვენი სიმცირე, სიპატარავე.

საბედნიეროდ, საქართველოს მოეპოვება როგორც მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალი, ისე პრაქტიკული მოქმედების უნარით გამორჩეული მრავალფეროვანი ალმშენებლობითი ძალები, რომელთა შეკავშირება და ქვეყნის სასიკეთო მიზნისკენ წარმართვა უმთავრესი ამოცანაა იმ საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომელიც დღეს ფუძნდება.

სამოქალაქო საზოგადოება ზემოდან, ხელისუფლების ნება-სურვილით, არსად არ შექმნილა. ამიტომ აუცილებელია, თვითონ ჩვენ შევძლოთ საკუთარი ძალების ორგანიზება, განვსაზღვროთ ჩვენი ნება და ინტერესები, გამოვძებნოთ ხელისუფლებასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ფორმები.

ჩვენი ხალხი ისევე ესწრაფვის თავისუფლების, სამართლიანობის, მოყვასის სიყვარულის იდეალებს, როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე ესწრაფვოდა. ოღონდ დღევანდელ ურთულეს პირობებში მოსაძიებელია ახალი გზები, საშუალებები, რათა მაღალი სულიერება კვლავ საქმით ამეტყველდეს.

საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა" ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მისი ეროვნებისა, პოლიტიკური მრწამსისა, აღმსარებლობისა, სოციალური მდგომარეობისა, მოუწოდებს თანადგომისაკენ და თანამშრომლობისაკენ.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა" გთავაზობთ ძირითად მიმართულებას, რომელიც ნდობას, ერთიანობას, ქვეყნის აღორძინებისათვის მოღვაწეობას გულისხმობს. დანარჩენი თქვენმა კონკრეტულმა ფიქრმა, ინიციატივამ, საქმემ განსაზღვროს.

დროა, ცივილიზებული სამყაროს მხრივ გამოჩენილ თანადგომას ჩვენი ქვეყნის შიგნითაც თანადგომით, ერთიანობით ვუპასუხოთ!

ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში ტარდება მიწის სრულიად გაუგებარი პრივატიზაცია, უფრო სწორად, ვაიპრივატიზაცია, ამასთან უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები. აშკარაა განუკითხაობა, რომელიც შემაშფოთებლად მოგვაგონებს ავადსახსენებელ განკულაკებას, ვინაიდან ფარცხნალში, ზაფხულიდან მოყოლებული, მიმდინარეობს მიწის საკუთრების მოსალოდნელი განმტკიცება კი არა, გაცხოველებული... წართმევა, ჩამორთმევა, ჩამოჭრა. ეს ემუქრება მიწის პრივატიზაციის ჭეშმარიტ იდეას, ეწინააღმდეგება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპს და, საბოლოო ჯამში, მიმართულია ნამდვილი ეკონომიკური რეფორმების ჩასაშლელად, რომელთა საფუძველთა საფუძველი და წარმატების საწინდარიც, — განსაკუთრებით დღეს ჩვენში, — არის მიწაზე ცივილიზებული კერძო საკუთრების უზენაესობის დამკვიდრება.

მიწის „პრივატიზაცია" ფარცხნალურად...

ანუ რატომ უშლიან ხელს რეფორმების წარმატებით განხორციელებას

რაიონულმა კომისიამ ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებთან ერთად თვითნებურად შემოიღო საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთების აბსურდულად მინიმალური ნორმები, — ვითომდა ფარცხნალი იმდენად კატასტროფულად მცირემიწიანი იყოს, — და ყოველდღიურად ისეთი შესაშური ენთუზიაზმით ზომავს, ჭრის და კვრავს, რომ ე. წ. სამივე კატეგორიის მცხოვრებნი თანაბრად სასოწარკვეთას მისცა. აი ეს ნორმები: I კატ. (ყოფილი კოლმეურნე) — 7500 კვ. მ., ნაცვლად დადგენილებით გათვალისწინებული 1,25 ჰექტარისა; II კატ. — (მუდმივი მაცხოვრებელი, მოსამსახურე) — 4500 კვ. მ, ნაცვლად 7500 კვ. მ-ისა; III კატ. (დროებითი მაცხოვრებელი, ქალაქელი) — 1000 კვ. მ, ნაცვლად 2500 კვ. მ-ისა. იმავე დადგენილებით კი მაღალმთიანი სოფლებისთვის ნორმები კიდევ უფრო გაზრდილია. შემოღებული ნორმები მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ კატეგორიულად გააპროტესტა. აქ საქმე ეხება არა კერძო დავას, არამედ საერთო ვითარებას, რომელიც აბსურდის თეატრისთვის მოგონილ ბრწყინვალე სცენას წააგავს: ფარცხნალში მიწა ყველას ჩამოაჭრეს (თითო-ოროლა შემთხვევითი გამონაკლისის გარდა), რადგან ზემოთმოყვანილი ნორმების მიხედვით თითქმის ყველას „ზედმეტი" მიწა აღმოაჩნდა! მერედა რა მიწები! არა მარტო ტრადიციულად გაპიროვნებული თუ სამი წლის წინ ექსპერიმენტული პრივატიზაციის შედეგად სხვადასხვა ფორმით მიკუთვნებული, არამედ მამაპაპეულიც, მათ შორის, — უშუალოდ სახლთან მიმდებარე ოდითგან შემოღობილი საკარმიდამო ეზოებიც კი! დიახ, არც საკარმიდამო ნაკვეთები და ეზოები დაინდო ხარაგაულის „მიწათდარბევის" კომისიამ!

გაგიგონიათ „სარეზერვო ფონდი"? ამ ცნებასაც არსებული დადგენილება ითვალისწინებს. ჰოდა, ჩამორთმეულ-ჩამოჭრილ სავარგულებსა და საკარმიდამო ეზოებს, მათ ნაწილებსა და ჩამონაჭრებსაც კი ადგილობრივი ბიუროკრატია უწოდებს „სარეზერვო ფონდს", რომლის დანიშნულება ჯერჯერობით შემაშფოთებლად წყვდიადით არის მოცული. რეზერვის ხელოვნური შექმნის ბერკეტის გამოყენებით ხსენებული კომისია იმგვარი ჟინითა და გატაცებით მოქმედებს, რომ ფარცხნალის ტურფა სანახები მთლად მითურ-მისტიკურ „ოქროს ფონდში" გადარიცხა, ხოლო სოფლის მკვიდრნი ღარიბი ნათესავებივით ცარიელზე დასხა. ჩამორთმეულ ჩამონაჭრებში ისეთებიცაა, რომლებსაც აშკარად არავინ არავის ედავება, და ისეთებიც, სავარგულადაც და სამოსახლოდაც რომ არ გამოდგება, ან რომელთა გამოყოფა ეკოლოგიურ მთლიანობას არღვევს. ამ მაკრატლით დაჭრილი ეზოებით ვაპირებთ მსოფლიო ბაზარში. გარევას?... ჩანს, რეზერვის სახელით ადგილობრივი ბიუროკრატია სოფლად „ეუფლება" მიწებს თავისი შორს წასული მიზნებისთვის... (იხ. აგრეთვე გაზეთი „დრონი", 1992, მაისი: „საქართველოს ახალი კოლექტივიზაცია ემუქრება"). იქამდე გათავხედდნენ, რომ დოგმებად აღიარებულ ნორმათა ზღვარს მიღმა რჩება „ჩამოჭრილი", უშუალო წინაპრებისგან გაშენებული ხეხილი, ასწლოვანი ბაღები, ახალი ნარგავებიც! ასე გასინჯეთ, ჰა ან წყაროც კი, — მამაპაპეული, პატრონისგან ამოშენებული და მოვლილი, წყლის ერთადერთი, მასთან, სასმელი წყლის წყარო!... ზომავენ ეზოებს კი არა, — კუნჭულებს, საქათმეებს, საღორეებს, და აზომილ ნაკუწებს აკლებენ სავარგულებს, საყანეებს, ვენახებს! ჩამონაჭრებისგან კი რეზერვის შექმნა დაუშვებელია!..

არადა დაგვიდევენ არც ჩვენს ისტორიულსა და კულტურულ წარსულს: აქ ხომ შეხვდებით გასული საუკუნის მეურნეობის იშვიათ ნიმუშებს.

არც მრავალშვილიანობის ფაქტორი ულბობს გულს სხვის მიწებზე დაგეშილ მიწათდამსჯელ რაზმებს!... არადა, სამი წლის წინ ხარაგაულის რაიონში ნებაყოფლობით ყველამ დაახლოებით იმდენი მიწა აიღო, რისი მოვლის იმედიც ჰქონდა. ზოგმა მეტი, ზოგმა ნაკლები. ძირითადად ყველა კმაყოფილი იყო. ახლა კი ცალკე მათხოვრული ნორმებისა და ცალკე კი კატეგორიების წყალობითაც სულ აირია მონასტერი. ასე, მაგალითად, „ლეგენდარული" რეჟიმის ეპოქაში (30-40-50-იან წლებში) არსებობდა სამხედრო წესით სამსახურში გაწვევის პრაქტიკა. ბევრი სწორედ ამის გამო დღეს II კატეგორიაში აღმოჩნდა. ბევრსაც უბრალოდ საბუთი დაუკარგეს და უჭირს დამტკიცება, რომ სხვადასხვა დროს ემსახურებოდა კოლმეურნეობას და უფლება აქვს II კატეგორიიდან I-ში გადასვლისა. არის შემთხვევები, როცა უშუალო მემკვიდრეებიდან ზოგი დაუდევრო-

მოითხოვს ყურადღებას!

ბით თუ იმის გამო, რომ ეს მაშინ არ იყო სავალდებულო, არ გაფორმდნენ კომლთა სიის წევრებად, რეალურად კი უვლიდნენ მამაპაპურ სახლ-კარსა და საკარმიდამოს. ახლა კი ადგილობრივი ბიუროკრატია კანონიერ მფლობელთა შვილებსაც კი არ აძლევს საშუალებას ჩაეწერონ მშობლების ქონების მემკვიდრეებად, რათა არ მოიზომოთ მათი სისხლხორცეულად კუთვნილი, ისედაც გაძარცვული ნორმა!... აი როგორი ფორმები მიიღო ჩვენმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ! კვლავ ბრძოლა პიროვნების ინტერესებთან რაიმე გაუგებარი „მაღალი მიზნების" მომიზეზებით!

ნუთუ კიდევ ერთი ეტაპი გველის დემოკრატიული ბრძოლის გზაზე?: ბრძოლა გრძელკლანჭებიან ადგილობრივ პატარა დიქტატორებთან? დემოკრატიისთვის ბრძოლაში ჩვენ უკვე მეტისმეტად დიდი და ძვირფასი მსხვერპლი გავიღეთ არა იმად, რომ საქართველო კვლავ ბიუროკრატების მიერ რეანიმირებული ნეოსოციალიზმის წყვდიადს მივცეთ!...

ხარაგაულში პური უცხო ხილადაა ქცეული, მაგრამ შიმშილობა არავის დამუქრებია, — სიმინდი და ლობიო საკმარისად ჰქონდათ და იმიტომ! მომავალ წელს კი... გლეხების აზრით, ეს ნორმები, დიახაც, დაამშევს სოფელს, მეცხოველეობასაც და მეფრინველეობასაც დააქვეითებს და რეგიონის იმ ორ ძირითად მარჩენალ კულტურაზე ფასებსაც აწევს ქვეყნის საერთო ბაზარზე. მაგრამ მოვუსმინოთ თვით მიწის მფლობელებს: „თუ საკუთრებაა, საკუთრება იყოს. ამ ნორმებით თავს ვერ გავიტანთ... ვიღა იყოლიებს ახლა რამეს? ვინც იყოლიებს, მამასისხლადაც გაყიდის!" (II კატ.); „გლეხი უხაროდ ვერ იქნება, ამ მიწით კი ხარებს ვერ შევინახავთ" (I კატ.); „უჰო მიწები ავიღეთ, მოვუარეთ, გავაშენეთ, ახლა კი გვაჭრიან. ვისთვის? მეზობელი მეზობლის მიწაზე არ შევა! ნახევარი მიწები მომავალ წელს დაუმუშავებელი დარჩება. ვენახი კი, ერთი წელიც რომ გაცდეს, წახდება... 1000 მ-ით იმდენი რა უნდა მოვიწიოთ, რომ ქალაქის ბაზარს, პურის რიგებს ზედმეტი ტვირთი ჩამოვაშოროთ? როგორღა უნდა შეიქმნას საბაზრო ეკონომიკა?.. ჩვენ კი პენსიაში რომ გავალთ, აქ ყოფნას ვაპირებთ..." (III კატ.).

მისწერეს ფარცხნალის გლეხებმა კოლექტიური წერილი თითქმის ყოველი კომლის წარმომადგენელთა ხელმოწერით პრემიერ-მინისტრსა და სახელმწიფოს მეთაურს. ვლინდება, რომ სოფლის კრებები და ყრილობები მრავალი პროცესუალური დარღვევით წარიმართა. ირკვევა, რომ გლეხებმა პასიურობა გამოიჩინეს, რადგან მიჩვეულები არიან ძველებურ კრებებს, და არც დრო აქვთ. ადგილობრივმა ბიუროკრატიამ კი ფაქტობრივად ძველებური მეთოდებით გაატარა კრებაზე რაც უნდოდა. ყვებიან, მაინც ყოფილა ყრილობაზე ცხელი დისკუსია, ზემოხსენებული მათხოვრული ნორმების გაპროტესტება, მაგრამ უფრო გამოცდილმა ადგილობრივმა ფუნქციონერებმა გაიმარჯვეს. ახლა კი მიხვდნენ სოფლელები იმ კრებების მნიშვნელობას, მაგრამ ახლა უკვე „ხალხის დადგენილიაო!", „ხალხის ნებით არჩეულიაო", (!), „ხალხის ნებას ვერ გადავალთო", — ეუბნებიან! უმეტესობის აზრით კი აუცილებელია ახალი და სხვაგვარი კრებისა თუ ყრილობის ჩატარება. სოფლელებს შექმნილი პრობლემის გადაწყვეტაში ადგილობრივი დეპუტატის იმედიცა აქვთ (ბ-ნი ნოდარ ვეფხვაძე), მიწის რეფორმების კომიტეტის ხელმძღვანელობისაც (ბ-ები: გ. ჩიკვილაძე, ო. კობახიძე, ა. ცინცაძე), და იმ კომისიისაც, რომელსაც იქნებ გამოყოფს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტი.

• • •

ხარაგაულის მაგალითით (ვიცით, რომ სხვა რეგიონებშიც ირღვევა სხვადასხვა ვარიანტებით ადამიანის უფლებები) ჩანს, რომ მიწის რეფორმებს საქართველოში სერიოზული საფრთხე ემუქრება. ნემსის ყუნწში ძვრება კაბინეტური მაფია, ოღონდ „სახელმწიფო ქონების", ანუ სახელმწიფო სექტორის მართვისა და კონტროლის სადავეები არ გაუშვას ხელიდან. ბუნდოვანი კონცეფციებით ისევ მონობას გვთავაზობს (წაგვართმევს-დაგვიბრუნებს — ისევ აზომავს და ისევ წაგვართმევს!), ნაცვლად სრული საკუთრებისა: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება გვთავაზობს ერთს, პარლამენტის პროგრესული ნაწილიც ნამდვილ ერთგულ რეფორმისტებად გვევლინება. მაგრამ...

ვიმედოვნებთ, რომ მწარე გამოცდილება გათვალისწინებული იქნება მომავალი მიწის კანონის შემუშავებისას, რომელიც უნდა მიიღოს ჩვენმა პარლამენტმა. ვიმედოვნებთ, რომ მიწის ყოველი მფლობელის ინტერესები რეალურად იქნება დაცული, — ასე ვთქვათ, „ქვემოდან". დიახ, მიწის კანონი ჯერ არ მიგვიღია. როგორი იქნება ის? დაამყარებს თუ არა იგი ბოლოსდაბოლოს ცივილიზებულ მიწათსაკუთრებას საქართველოში?

მაია სახოკია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რევოლუციების დრო გავიდა

„რევოლუციების დრო გავიდა, და დღეს ქვეყანას სჭირდება არა შინაპოლიტიკური ბრძოლების ოსტატები, რომლებიც იბრძვიან მათთვის ხელსაყრელი თანამდებობებისათვის, არამედ მშრომელები, რომლებიც ცდილობენ უკეთესი გახადონ პოლონელთა ცხოვრება", — განაცხადა კვირა საღამოს პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ. გდანსკში თანამოქალაქეთა წინაშე გამოსვლისას, მან აღნიშნა, რომ საჭიროა ხალხის ერთიანობა ხელისუფლების შესაძლო კრიზისის საფრთხის გამო.

ახლა, როცა ქვეყანაში არ არის პარლამენტი, როცა მთავრობამ მიიღო უნდობლობის ვოტუმი, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა სიგიჟეა, მიაჩნია ლ. ვალენსას. მან სასტიკად გააკრიტიკა ვარშავაში პარასკევს გამართული მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის ორგანიზატორები, რომელზეც ისმოდა სახელმწიფოს მეთაურის „შეცვლის" მოწოდება. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი შემადგენლობის სეიმის მოწვევამდე, რომლის არჩევნები დანიშნულია 19 სექტემბერს, არავითარ თავდასხმებს არ შეურიგდება. როცა ჩამოყალიბდება დეპუტატთა კორპუსი, ლ. ვალენსა პარლამენტართა წინაშე დასვამს თავისი როგორც პოლონეთში უმაღლესი თანამდებობის პირისადმი ნდობის საკითხს.

უმრავლესობა მოიპოვა

წინასწარი მონაცემებით, მონღოლეთში კვირას გამართულ პირველი პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნებში წარმატებას მიაღწია სახელმწიფოს ახლანდელმა მეთაურმა პუნსალმაგიინ ოჩირბატმა. იგი მორიგი ვადისათვის დაასახელა ორი პოლიტიკური ძალის ბლოკმა — ეროვნულ-დემოკრატიულმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა, რომლებიც უპირისპირდებიან სახალხო-რევოლუციურ პარტიას, უმრავლესობა რომ ჰყავს დიდ სახელმწიფო ხურალში.

არჩევნების შესახებ კანონის მიხედვით, საოლქო კომისიებმა უნდა განაზოგადონ საუბნო კომისიების მონაცემები და 3 დღის მანძილზე გადასცენ ისინი ქვეყნის მთავარ საარჩევნო კომიტეტს. ასეთი ცნობები ეს-ეს არის მოდის მთავარ საარჩევნო კომისიაში.

პ. ოჩირბატს დაუპირისპირდა კანდიდატი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან, მისი ცენტრალური გამოცემის გაზეთ „უნენის" მთავარი რედაქტორი ლოდონგიინ ტუდევი.

ქვეყნის ეკონომიკა სტაბილურად ვითარდება

1992 წელს ისრაელის ეკონომიკა სტაბილურად ვითარდებოდა, აღინიშნა ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. ამას მოწმობს აქ გამოქვეყნებული ისრაელის სახელმწიფო ბანკის განვლილი წლის მოხსენება.

შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე მიაღწია 32 ათას შეკელს, ანუ 13 ათას დოლარს წელიწადში. მთავრობამ ამოცანად დაისახა 2000 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 20 ათას დოლარს მიაღწიოს. ექსპორტი 1992 წელს 14 პროცენტით გაიზარდა. ეს მოხდა საგარეო ბაზრებზე ისრაელ მწარმოებელთა აქტიური შეღწევის წყალობით. საექსპორტო საქონლის წარმოებაში ყველაზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ისეთმა დარგებმა, როგორიც არის რადიოელექტრონიკა, ხელსაწყოთმშენებლობა, საავიაციო მრეწველობა.

1992 წელს შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 4 პროცენტით გაიზარდა, ამავე დროს საშუალოდ 2,5 პროცენტით შემცირდა რეალური ხელფასი. „ადამიანის კაპიტალი" გაიფდა იმიგრაციის მოზღვავების გამო მუშახელის მნიშვნელოვანი ნაკადის შედეგად. სახელმწიფო ბანკი ნეგატიურ მოვლენას უწოდებს იმას, როცა უმუშევრობა 10 პროცენტზე მეტ დონეზე რჩება. როგორც აღნიშნულია მოხსენებაში, ამჟამად ქვეყანაში ჩამოსულ იმიგრანტებს უფრო უჭირთ სამუშაოზე მოწყობა, ვიდრე იმათ, ვინც 1989-90 წლებში ჩამოვიდა. ყოველწლიურად სულ უფრო ძნელდება სპეციალობით სამუშაოს შოვნა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

თელავის ამბები

გერმანული საჭირო ენაა

ამ დღეებში თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში მიმდინარეობს მოსკოვის გოეთეს სახელობის გერმანული კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული სემინარი (ამგვარი ცენტრი მსოფლიოში ასსამოცდაათია, რაც თავისთავად მიანიშნებს გერმანული ენისადმი მზარდ ინტერესს), რომლის მსმენელთა შორის ოცდაათი საქართველოს წარმომადგენელია, ოთხი კი სომხეთის და აზერბაიჯანისა. ენის შესწავლის მეთოდოლოგიურ სიახლეებზე, დარგის სხვა საკითხებზე დამსწრეთ თავის ცოდნას გადასცემენ ცნობილი გერმანისტები ილზემარ ვეჰტერი, ელსბეტ ხანდელფელდი, პეტრა კიოლერ-ჰერინგი.

მუსტაფასი რაღა გვიკვირს!..

ხუთი წლის წინ დამეგობრდნენ თელავი და გერმანიის ქალაქი ბიბერახი. ამ ხნის მანძილზე მრავალი ნაბიჯი გადაიდგა ურთიერთგასაცნობად და დასაახლოებლად. ამჟამინდელი შეჭირვებული ცხოვრების ჟამს არაერთხელ გამოუწოდეს დახმარების ხელი თელაველებს გერმანელმა მეგობრებმა. წლის დასაწყისში ბიბერახელთა მიერ შეგროვებული თანხით გადაწყდა ფქვილის შეძენა. საგზაო ხარჯების შემცირების მიზნით მისი შესყიდვა თურქეთში უნდა მომხდარიყო. ეს საქმე ბიბერახის მოქალაქეს, ეროვნებით თურქს მუსტაფა ჰაზისს დაევალა. მაგრამ ამაო გამოდგა თელაველთა მოლოდინი. მუსტაფამ თურმე ფეხით გადმოკვეთა სარფის საზღვარი, პასპორტში საქართველოში ყოფნის აღნიშვნა გააკეთა და იმავე დღეს დაბრუნდა უკან. ამის შემდეგ განაცხადა, აქარაში უცნობმა პირებმა ტვირთი წამართვეს და მცემესო. დღეისთვის დადგენილია, რომ მუსტაფა ჰაზისმა მიითვისა ფქვილის შესასყიდი თანხა და მიიმალა. ამჟამად მას გერმანიის და თურქეთის პოლიცია ეძებს. მიუხედავად წარუმატებელი ცდისა, ბიბერახელებმა გული როდი გაიტეხეს — კვლავ შეაგროვეს საჭირო თანხა და კვლავ შეიძინეს ფქვილი, რომელიც, იმედია, ახლა მაინც მშვიდობიანად მიაღწევს დანიშნულებამდე.

ეს ყოველივე ამჟამად თელავში მყოფმა მეგობრობის კვირეულის მონაწილე ბიბერახელებმა მოგვითხრეს. ამჯერად მათ გარკვეული რაოდენობის სურსათი და სამრეწველო პროდუქცია ჩამოიტანეს, რომლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა ხელმოკლე ოჯახებს უნდა დარიგებოდა. მაგრამ ეს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ თუ მოხერხდება და ამის მიზეზი უკვე ვინმე თურქი კი არა, თვითონ თელაველები არიან. მცირე რაოდენობის დეფიციტური საქონლის გაყიდვა რომ მრავალ სიძნელეს წარმოშობდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო, მაგრამ ის, რაც მოხდა თელავის თეატრის ფოიეში, სადაც სტუმრებმა დახლები მოაწყეს; დიდხანს გაყვება ქალაქს სამარცხვინო ლაქად.

ზრბოდ ქცეული ხალხის დაწოლამ არია ერთმანეთში წინ და უკან მდგომნი — გამყიდველი და მყიდველი, შექმნილი ქაოსით ქურდბაცაცებმა ისარგებლეს და სტუმართა პირადი ნივთები მოიპარეს. მერე ისევ ჩამოსულები ამშვიდებდნენ მასპინძლებს: რას ვიზამთ, ყველა გაჭირვებული ქვეყნისთვის დამახასიათებელი რამ მოხდაო. რა თქმა უნდა, ეს ვერაფერი ნუგეშია.

ზურაბ არსენიშვილი.

ახალგაზრდების ახალი ორგანიზაცია

ახალგაზრდული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის რიგს შეემატა საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი" (ჟურნალისტებმა „აედ" უწოდეს), 6 თვეა, რაც ამ ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფი მოქმედებს.

— ჩვენ საკმაოდ ბევრის გაკეთებას ვაპირებთ, არ გვინდა დავემსგავსოთ იმ ახალგაზრდულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად არსებობენ — აცხადებენ ისინი. ჩვენი მიზანი იმაში გვესახება, რომ ამჟამად გაფანტული ახალგაზრდული ენერგია გავაერთიანოთ და ქვეყნის სასიკეთოდ წარვმართოთ. ამ საპატიო საქმეში ჩვენი ორგანიზაცია ყოველნაირად ამოუდგება მხარში საქართველოს ხელისუფალთ და ხელს შეუწყობს მათ,— თქვა საქართველოს „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიული" ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ბაჩუკი ქარდავამ.**

ამ ახლადშექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძირითადი აზრი საყოველთაოდ აღიარებული საკაცობრიო ღირებულებებია, ეროვნული და ქრისტიანული პრინციპებიდან გამომდინარე, მათი მიზანია: ეროვნული და ქრისტიანული იდეების გავრცელება ახალგაზრდებში, მათი უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვა.

ლელა დონაძე.

დავეხმაროთ საინგილოს!

უაღრესად დუხჭირი ცხოვრებაც კი ვერ ჩაკლავს ქართველ კაცში მოყვასის თანადგომის სურვილს. ამის თვალსაჩინო მაგალითია საინგილოს დახმარების საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობა, რომელიც რუსთავში ჩამოყალიბდა თამაზ კვარაცხელიას ხელმძღვანელობით 1989 წლის მარტში.

პატრიოტები კარგად გრძნობენ მამულის სატკივარს, ძირძველი ქართული მიწის ყივილს და დიდი რუდუნებით ზრუნავენ ისტორიული ბედუკუღმართობისაგან სამშობლოს გარეთ დარჩენილ მოძმეთა გულში ეროვნული თვითშეგნების ცეცხლს. რით? იმით, რაც შეუძლიათ, რაც ხელეწიფებათ. კერძოდ, ხუთასზე მეტი საინგილოელი ქართველი ბავშვი ისვენებდა სურამში, ქობულეთში, ბათუმში... კიდევ სხვა მრავალი ასეთი ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორია საქველმოქმედო საზოგადოება.

ამ საზოგადოებამ ახლახან მიიღო მიმართვა, რომელშიც მოუწოდებს ყველას ძმური დახმარება აღმოუჩინონ საინგილოს ქართველებს.

დაინტერესებულთ ვაცნობებთ საზოგადოების მისამართს:

ქ. რუსთავი, 383040, თოდრიას ქ. № 17-54.

ტელეფონი: 12-85-27.

ხიდი

ხელსაყრელი თანამშრომლობა

საერთაშორისო კავშირგაბმულობა — შემოსავლის წყარო

საერთაშორისო სატელეფონო კავშირი ამჟამად მთლიანად მოსკოვის გავლით ხორციელდება, თუ არ ჩავთვლით „ჭორჭიან ინტელკომის" რამდენიმე არხს, რომელიც ძირითადად სამთავრობო დანიშნულებისაა. დღეს არსებული სიტუაცია არ იძლევა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ავტომატური სატელეფონო კავშირის დამყარების არავითარ საშუალებას.

— საერთაშორისო სატელეფონო კავშირების დამყარების ერთ-ერთი რეალური გზა თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობაა, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა **ფრიდონ ინჯიამ.** — მაისის ბოლოს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაიმართა თურქეთის ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის გენერალური დირექტორატის, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უმაღლესი დონის ხელმძღვანელთა შეხვედრა.

შედგენილია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რადიო-სარელეო ხაზით სატელეფონო კავშირის ორგანიზებას „თურქეთ-ბათუმ-თბილის-ბაქო-ს შორის არსებული რადიოსარელეო სადგურების გამოყენებით.

პროექტით დიდ დაინტერესებას იჩენს აზერბაიჯანი. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანიდან წარმოებული საერთაშორისო კავშირები გაივლის ჩვენს ტერიტორიაზე, რაც შემოსავლის გარკვეული წყარო გახდება.

საერთაშორისო კავშირების დამყარების მეტად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ამჟამად დაპროექტების სტადიაში მყოფ ოპტიკურ კაბელში („იტალია-თურქეთი-უკრაინა-რუსეთი", რომელიც შავ ზღვაში ჩაიდება) საქართველოს მიერთება. ამის გამო ჩვენ თურქეთის შემდეგ უკვე რომში ჩავედით, სადაც განიხილეს ამ საკაბელო მაგისტრალის მშენებლობის და ამ სისტემისათვის საქართველოს მიერთების საკითხი.

არის ასეთი გეგმაც: ნოვოროსიისკიდან ზღვის ოპტიკური კაბელი ჩაიდება ფოთამდე, ხოლო ფოთიდან ხმელეთით წამოსულ კაბელში ნავარაუდევია პირველ ეტაპზე აზერბაიჯანის, სომხეთის და ირანის ჩართვა, შემდეგ — შუა აზიის ქვეყნებისა. ამიტომ ამ პროექტის განხორციელება საკმაოდ შემოსავლიანი უნდა იყოს.

შეხვედრა. ხიმონ ქილაძის ფოტო.

„ჯიქი" დახმარებას ითხოვს

საბრძოლო ხელოვნების კლუბი „ჯიქი-90" ოთხი წელია, დაარსდა. მის სექციებში 500-ზე მეტი წევრია, უმრავლესობა 7-დან 14 წლამდე ასაკისანი არიან. კლუბს კარგი სპორტული მიღწევები აქვს და თითქმის ყველა შეჯიბრებაზე წარმატებას აღწევს.

კლუბის მიღწევებზე, პრობლემებსა და უახლოეს პერსპექტივაზე „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს უამბობს „ჯიქი-90"-ის პრეზიდენტი **გოჩა ჯავახია:**

— კლუბი თავისი ხარჯებით ყოველ წელს ატარებს კარატეს ტურნირს ჭაბუკთა შორის, რომელიც საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება. 20 მაისს სპორტის სასახლეში უკვე მესამედ მოეწყო ეს ტურნირი, რომელშიც ასობით ჭაბუკმა მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან თუ რაიონიდან.

ამა წლის აპრილში ქალაქ სანქტ-პეტერბურგში გამართულ ჭაბუკ კარატისტთა საერთაშორისო ტურნირზე კლუბმა პირველი გუნდური ადგილი მოიპოვა, ხოლო პირად პირველობაში 3 პირველი, 4 მეორე და 2 მესამე ადგილი დაიმსახურა. ტურნირის დამსწრე უცხოელმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი ჭაბუკების ოსტატობას და მიგვიპატიჟეს რამდენიმე ასპარეზობაზე. რუსეთის ტელევიზიით ტურნირის გაშუქების დროს კლუბს ევროპაში „ერთ-ერთი უდიდესი" უწოდეს და მაღალ სპორტულ შედეგებთან ერთად მის აღსაზრდელთა ვაჟკაცობას, თავმდაბლობას და ზრდილობას გაუსვეს განსაკუთრებით ხაზი.

21-დან 24 ივნისამდე ნევისპირა ქალაქში ტარდება მსოფლიო ფესტივალი კარატეში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 1000-ზე მეტი სპორტსმენი სხვადასხვა სახელმწიფოდან. ფესტივალზე საზღვარგარეთიდან მოწვეული არიან სახელგანთქმული სპორტსმენები, ხელოვნების მოღვაწეები, ბიზნესმენები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის ტელეტრანსლაციას უზრუნველყოფს ამერიკის ცნობილი ტელეკომპანია სი-ენ-ენი.

ფესტივალის ორგანიზატორებმა, რომლებიც ესწრებოდნენ აპრილის ტურნირს, გვთხოვეს ჩვენ სულიყავით ამ ფესტივალზე, მაგრამ ჩვენი გამგზავრება წმინდა პეტრეს ქალაქში საეჭვო გახდა ფინანსური პრობლემების გამო.

ჩვენს არეულ და მძიმე დროში, ყველაზე უფრო გვჭირდება ძლიერი, ვაჟკაცური, თავმდაბალი და ზრდილობიანი ახალგაზრდობა. ამ გარემოებას ჩვენს კლუბში უპირველეს ყურადღებას ვაქცევთ. თუ პირობები უკეთესი გვექნება, შეგვიძლია მრავალ ბავშვს შევუწყოთ ხელი ფიზიკურ და სულიერ აღზრდაში. ისინი ჩვენი მომავალი სამშობლოს წესრიგის დამცველები იქნებიან. ხოლო კლუბის დაშლის შემთხვევაში (რაც სავსებით მოსალოდნელია ფინანსური პრობლემების გამო) ეს ახალგაზრდები ქუჩაში დარჩებიან. თუ ამ საქმეს არ მივხედეთ, შესაძლებელია ბევრი მრუდე გზას გაყვეს. ყველაფერი ეს ჩვენც და ჩვენს შვილებს წინ დახვდებათ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო საზოგადოებრიობას, გამოიჩინონ გულისხმიერება და დაეხმარონ კლუბს. ჩვენი რეკვიზიტებია: გლდანის ბინსოცბანკი 000700332 მფო 521619.

ჩოგბი

ბრიჯი

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ბრიჯში, რომელმაც წარმატება კლუბ „მილანს" მოუტანა. საპრიზო სამეულში დამკვიდრდნენ აგრეთვე „ვირტუოზები" და „ტერმინატორი".

ჩოგბურთი

საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამოქვეყნდა ვაჟთა ახალი კლასიფიკაცია. „როლან გაროს" კორტების ტრიუმფატორი ესპანელი სერხიო ბრუგეირა მეხუთე პოზიციამდე ამაღლდა, ხოლო ნახევარფინალისტი — უკრაინელი ანდრეი მედვედევი მერვე საფეხურზე დამკვიდრდა.

მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სათავეში კვლავ ჩოგნის დიდოსტატებს ვხედავთ — პიტ სამპრასი (აშშ), ჯიმ კურიე (აშშ), სტეფან ედბერგი (შვედეთი) და ბორის ბეკერი (გერმანია).

გიწვევთ სასწავლებლად სამედიცინო კოლეჯში

კომპანია „ინტერბიზნეს"-თან არსებული

ქ.თბილისის სამედიცინო კოლეჯი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკურნალო საქმე (საფერშლო, ფართო პროფილით): მეანობა-გინეკოლოგია, პედიატრია, ქირურგია, თერაპია.
სწავლის ხანგრძლივობა 9 კლასის ბაზაზე – 3 წელი
11 კლასის ბაზაზე – 2 წელი

2. ორთოპედიული სტომატოლოგია (კბილის ტექნიკოსი)
სწავლის ხანგრძლივობა 9 კლასის ბაზაზე – 2 წელი და 10 თვე
11 კლასის ბაზაზე – 1 წელი და 10 თვე.

ქ.თბილისის ნებისმიერი სხვა სამედიცინო კოლეჯისაგან განსხვავებით, მხოლოდ ჩვენს კოლეჯში მოსწავლეები აითვისებენ:

1. — თანამედროვე პერსონალური კომპიუტერების (IBM/PC/XT/AT და ა.შ.) გამოყენებას მედიცინაში (სრული კურსი);

2. — ლაზერულ თერაპიას და სხვა.

სამედიცინო კოლეჯს განზრახული აქვს გახსნას თანამედროვე სტომატოლოგიური კლინიკა მომსახურეობის მთლიანი სერვისით (მეტალო-კერამიკული პროტეზირება). ჩვენი კოლეჯის სტომატოლოგიური ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები კოლეჯის დამთავრების შემდეგ დასაქმებული იქნებიან ამ კლინიკაში.

• სამედიცინო კოლეჯის პედაგოგებად მოწვეულნი არიან რესპუბლიკის მედიცინის დარგის წამყვანი სპეციალისტები.

კოლეჯის მოსწავლეები სპეციალიზაციას გაივლიან ქ.თბილისის ცენტრალურ კლინიკებში, საერთაშორისო სასწავლო პროგრამების შესაბამისად.

სამედიცინო კოლეჯის კურსდამთავრებულები მიიღებენ სრული საშუალო სამედიცინო განათლების დიპლომს და ისარგებლებენ ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით შრომითი დაქვემდებარებისა და სწავლის გაგრძელების საქმეში.

სწავლა ფასიანია.

საბუთებთან ერთად აბიტურიენტებმა უნდა შემოიტანონ მიმღები კომისიის შრომის საფასური — 3 000 მანეთი (საბუთების გატანის შემთხვევაში აბიტურიენტს თანხა უკან არ უბრუნდება).

საბუთების მიღება იწარმოებს ა.წ. 10 ივნისიდან 15 ივლისამდე

ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 16 საათამდე.

კოლეჯში ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგად.

მისამართი: ქ.თბილისი, ჩარგალის ქ.№34, №164 საშუალო სკოლა (მეტრო „ღრმაღელესთან" მიმდებარე ტერიტორია)

ტელეფონი: 61-31-07 (11-დან 16 საათამდე), 61-69-77 (17-დან 20 საათამდე)

არქიტექტურის მომავლისათვის



მაღალი მხატვრულ-აზრობრივი კულტურით მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება სტუდენტ არქიტექტორთა საკონკურსო ნამუშევრებმა, რომლებიც ამ დღეებში იყო ექსპონირებული საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საგამოფენო დარბაზში. „ქაღალდის არქიტექტურა — საცხოვრებელი სახლი 2222 წლისათვის." — ასეთია თემა სტუდენტური კონკურსისა, რომელიც მიეძღვნა შარშან, აფხაზეთში საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპული არქიტექტორის თემურ (თიო) გაბუნიას ხსოვნას. ამგვარი მიძღვნა, გახსენება და მადლიერების გამოხატულებაა ნიჭიერი შემოქმედისადმი, რომელსაც ბევრი რამ დარჩა უთქმელი თავის პროფესიაში. მართლაც, სამაგალითოა არქიტექტორთა საზოგადოების დამოკიდებულება უდროოდ წასული კოლეგის, ღირსეული მამულიშვილის ხსოვნისადმი.

კონკურსის ორგანიზატორები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტი და თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ აღნიშნული ინსტიტუტისა და აკადემიის სტუდენტებს. შარშან პირველად გამართულმა სტუდენტურმა კონკურსმა, რომლის თემა იყო „მინის ოაზისი უდაბნოში", მომავალი არქიტექტორების არნახული დაინტერესება გამოიწვია. ახლანდელ კონკურსს უნდა გაეცა პასუხი, პირველ კონკურსზე მოძალება ეიფორია იყო თუ ახალგაზრდების ნამდვილი სულიერი მოთხოვნა. წლევანდელმა კონკურსმა, რომელზეც ორმოცზე მეტი პროექტი იყო, ერთნიშნა პასუხი გასცა ამ კითხვას — ჩვენი დამწყები არქიტექტორები დატვირთულნი არიან შემოქმედებითი ენერგიით, ძლიერია მათში შექმნის ჟინი, გაბედულად არღვევენ სტერეოტიპებს. ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნამუშევრები გვარწმუნებენ, რომ ისინი კარგად გრძნობენ თემის სპეციფიკას, ფლობენ მეტაფორული აზროვნების ხერხებს. არის საინტერესო

კონკურსი

სიუჟეტები, ბევრ პროექტში ვლინდება ვრცელი ინფორმირებულობა. ჩანს, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი ჩართულია თანამედროვე არქიტექტურის დინამიკურ პროცესებში.

ჟიურის შემადგენლობაში იყო თოთხმეტი წევრი, ჩვენი არქიტექტურის სამყაროს ცნობილი ავტორიტეტები. ჟიურის თავმჯდომარეობდა ბატონი **ვახტანგ დავითაია** (იგია კონკურსის კოორდინატორიც), არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე. აი, რა თქვა ბატონმა ვახტანგმა ჩვენთან საუბარში სტუდენტური კონკურსის გარშემო: —

— არქიტექტურა ერთდროულად გულისხმობს სარგებლიანობას და პოეზიასაც, მაგრამ ჩვენს პრაქტიკაში სარგებლიანობა, რაციონალიზმი, სჯაბნის პოეზიას, ოცნებას, სულიერ მოთხოვნებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენში, არქიტექტურაზე 70-წლიანი სახელმწიფო დიქტატის შედეგად. აღნიშნული კონკურსის მიზანია სილამაზისა და მაღალი ფსიქოემოციური კომფორტის შექმნა, მშვენიერებისა და სულიერი კომფორტის ხაზგასმით უპირატესობა რაციონალიზმზე, პრაგმატიზმზე. გამოვხატავ ჟიურის აზრს და ვიტყვი, რომ კონკურსი შემოქმედებითი თვალსაზრისით აშკარად წარმატებული აღმოჩნდა.

დაწესებული პრემიები შემდეგნაირად განაწილდა: პირველი პრემია მიენიჭა სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტს **სანდრო ბალიაშვილს** — „ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეისათვის". მეორე პრემიით აღინიშნა **რატი ჩომახიძისა** და **თენგიზ კვანტალიანის** (სამხატვრო აკადემიის სტუდენტები) პროექტები. „იდეების ფართო სპექტრისათვის". მესამე პრემიები მიეკუთვნათ **ირაკლი ხვიჩონიშვილს, დიმიტრი ნაფეტვარიძეს** (ტექნიკური უნივერსიტეტი) და **რატი ჩომახიძეს** (აკადემია) მეორე ვარიანტს „ოპტიმისტური და პოეტური ხედვისათვის." არქიტექტორთა კავშირის სპეციალური პრემია მიენიჭა სტუ-ს სტუდენტს, ეკვადორელ **ლუსია ველასკოს.**

ამ საინტერესო და საჭირო კონკურსის გამართვა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სპონსორების კეთილი ნება. აი, ისინიც: საქართველოს არქიტექტორთა კავშირის რესპუბლიკური გაერთიანება „საქარქპროექტი" (თემურ ღიასამიძე და თემურ ხოჯავა), შემოქმედებითი სტუდია „არსი" (გია აბულაძე და ირაკლი როსტომაშვილი), სააქციო საზოგადოება „ზენო" (თამაზ გიორგაძე) ყველა ისინი პროფესიით არქიტექტორები არიან და საზოგადო მადლობას იმსახურებენ, რადგან თავიანთი საქველო საქმით ქართული არქიტექტურის მომავლისათვის ირჯებიან.

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათზე: სანდრო ბალიაშვილის პროექტი.

გარდაიცვალა

მამუკა კაჭკაჭიშვილი

1 ივნისს აფხაზეთში, სოფელ ლაბრასთან გმირულად დაიღუპა ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ასპირანტი მამუკა კაჭკაჭიშვილი.

ახალგაზრდა კაცმა, რომლის წინ გაშლილი იყო ფართო სამეცნიერო ასპარეზი, თავის უპირველეს მოვალეობად ჩათვალა ჩამდგარიყო საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. ექვსი თვის განმავლობაში იგი მონაწილეობდა ბრძოლებში, სადაც მისთვის ჩვეული მონდომებითა და პასუხისმგებლობით ასრულებდა მხედრულ მოვალეობას.

მამუკა ეკუთვნოდა იმ ახალგაზრდათა რიცხვს, რომელთაც თავიანთი უნარით, ნიჭიერებით, აღზრდა-განათლებით და მაღალი ზნეობით უნდა ეშენებინათ ქვეყნის მომავალი. მას წამოწყებული ჰქონდა საინტერესო გამოკვლევები მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში, სადაც ნათლად ჩანდა მისი ორიგინალური აზროვნება და მაღალი ინტელექტი.

ზრდილი, თავაზიანი, კეთილშობილი ახალგაზრდა ყოველი ჩვენგანის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა.

მამუკა კაჭკაჭიშვილმა გაიარა ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული და ნათელი ცხოვრების გზა. მისი დაღუპვით მშობლებმა დაკარგეს საყვარელი შვილი, მეგობრებმა ერთგული ამხანაგი და ნიჭიერი კოლეგა, საქართველომ ჭეშმარიტი მამულიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბაბილინა დიმიტრის ასული იოსელიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება, ფიზიკის ინსტიტუტი და ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აფხაზეთში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ირაკლი ქიმერიძე

და ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი

მამუკა კაჭკაჭიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილთა ოჯახებს.

საქართველოს მთიელთა საზოგადოება სამძიმარს უცხადებს ბატონ რევაზ თოფურიას დედის

პარასკევა თოფურია-ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკში მიმდინარე წლის 15 ივნისიდან იხსნება საოპერაციო სამმართველო,

რომელიც:

— ხსნის უვადოდ საანგარიშებო და მიმდინარე ანგარიშებს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის;

— იღებს ქეყანაში საბანკო მომსახურების ყველაზე დაბალ პროცენტს;

— აწარმოებს საკრედიტო მომსახურებას;

— იხდის პროცენტებს კლიენტების ანგარიშების ნაშთებზე;

— ახორციელებს ფულადი სახსრების ინკასაციას;

— აწარმოებს მომსახურების ყველა ფორმას, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების შესყიდვასა და გაყიდვასთან და შემოსავლების განაღდებასთან;

— უზრუნველყოფს ორგანიზაციების სესხებით შეუფერხებლად;

— აწარმოებს სავალუტო ოპერაციებს;

— აწარმოებს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაზე ანაბრების მიღებას უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთების დარიცხვით, ვიდრე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაშია მიღებული;

— იღებს ფასიან ქაღალდებსა და ძვირფასეულობას ადგილზე დამონტაჟებულ სეიფებში შესანახად;

— აწარმოებს საბანკო მომსახურების ყველა სხვა სახეობებს.

შეგახსენებთ:

ა) ჩვენი ბანკი ყველაზე დიდი და საიმედო ბანკია საქართველოში, რომელსაც აქვს 85 განყოფილება და 1200 ფილიალი რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, დიდ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში. ხოლო აქ გახსნილი სავალუტო ანგარიშები ნიშნავს პარალელურად სუბანგარიშებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიაში და მათი ბანკების წარმომადგენლობებში ანგარიშის გახსნას;

ბ) ჩვენს ბანკში მომსახურება ყველაზე იაფია საქართველოში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, დ. უზნაძის ქ. 37.

საბროკერო ფირმა 064/1 კერძო პირებს და ორგანიზაციებს სთავაზობს:

— მაღალი ხარისხის 400 მარკიან 50 კგ-იან პარკებში დაფასოებულ ცემენტს ადგილზე მიტანით (მანქანით ან რკინიგზის ტრანსპორტით) საქართველოს ფარგლებში.

— საკუთარი წარმოების ბეტონს სპეცმანქანით ადგილზე მიტანით თბილისის ზონაში. რაოდენობა და ფასები შეთანხმებით.

მისამართი: ქ. თბილისი, გოთუას ქ. 12, ტელეფონი: 38-26-66, 38-23-35.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოჭორიშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.

ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА